სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 14 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება ადრესით ყნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Головинск. пр. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 146 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 146.

ს. მეორე ონტოფოს (აბაშის რაიონი) ს. დ. მ. პ კოლექტივი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს სახელოვან პარტიულ ამხანაგის

პორუჩიკ ვლადიმერ (სენევორე)

ფირცხალავას

გმირულად დაცემას ს. ხოსტასთან სასტიკ ბრძოლის დროს. (1—1)

ქვემო რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ დუშეთში 5 ივლისს, მდინარე არაგვში, თავისი მოვალეობის ასრულების დროს დაიღუპა ამავ რაიონის სახალხო გვარდიელი

იაკობ გასპაროვი

მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 14 ივლისს, დილის 10 ს. და დაასაფლავებენ ვერის გოგირიანის სასაფ. (3—3)

დედა იბრუხტი, მამა ერასტო, დები ივლიტა, გულჩინა და ფიდოსი გუგუაშვილები, სიძე ალექსანდრე ბაქრაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

ექვთიმე ერისტოს ძე გუგუაშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 16 ივლისს სოფ. ლახუნდარის ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. (1—1)

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

კვირას 14 ივლისს

მეორე ქართული კლუბი „ახალი საკრებულო"

(მიხეილ. პრ. № 129).

გაიმართება დიდი სეირნობა

„დღესასწაული ქართულ სოფელში"

დუდუკი, საზანდარი და სამხედრო მუსიკა. მ. კავსაძის გუნდი, შეჯიბრება (ცეკვაში. საჩუქარი მოცეკვავეებს. „ოქროს ქოტონი" და სხვა. სერგეი ბარტენიევი წაიკითხავს ქონდრის კინტოს კუპლეტებს. ჯირითი ცეკვაში, სიმღერები. დიდი შარი და შესანიშნავი შუშხუნები. წარმოდგენები და სინემატოგრაფი. (ალლუმი)

დასაწყისი საღამოს 5 საათზე. (1—1)

თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება.

15 ივლისს სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) გაიხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

კურსები

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. ჩაწერა შეიძლება 20 ივლისამდე სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—1 საათ. და საღ. 6—8 ს. კურსების გახსნის დღეს შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს თფილისის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ლ. იშკოვი, რის შემდეგ პირველ ლექციას პოლიტიკურ ეკონომიაზე წაიკითხავს მ. ნ. სმირნოვი. (2—1)

18 წლის ცნობილი გამომჭრელი (ზაკროიშჩიკი)

წევრი ექსპერტი პეტროგრადის და მოსკოვის გამომჭრელთა კავშირისა,

პ. მ. კაშია

ხსნის ამ ზაფხულ ორივე სქესისთვის ყოველნაირს

ჭრის კურსებს

ყოველ ოჯახის სახელოსნოსთვის საჭირო სამაგალითო საადვილო ახალ გამოგონილ სისტემით. როგორც მკერვალი ისე არა მკერვალიც, ადვილად ითვისებს, ლექცია—საუბრებით, რომელიც აუცილებელია ყოველი ევროპიელი შეგნებული მცოდნე ჭრა-მკერვალისთვის. მისამართი სასახლის ქუჩა სახლი ქართ. თავად-აზნაურობისა, ეზოში მიქელაძის სამკერვალოში № 24. ჩაწერა შეიძლება 5—7 საათ. საღამოს. საზოგადოებასა და კავშირებს შეღავათი. ღარიბთ ერთი ადგილი და ყველას სანიმუშო გაკვეთილი უფასო. მეცადინეობა იქნება დილითა და საღამოთი. კურსებთან ერთად იქნება პრაქტიკული სახელოსნო. 1—1

საავათმყოფოებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საყურადღებოთ

რადგანაც თფილისის დაჭრილთა კომიტეტი ქალაქთა კავშირისა 20 ივლისიდან იხურება, მოსამსახურეთა პროფ. კავშირი ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ვინც არ არის დაკმაყოფილებული დაჭრილთა კომიტეტისაგან აცნობონ ამის შესახებ კავშირს მიმდინარე თვის 17-მდის ყოველ დღე დილის 10—1 საათ. (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი № 11.

(3—1) კავშირის გამგეობა.

მუშათა კლუბში

(მიხეილის პროსპექტი № 65)

დღეს 14 ივლისს გაიმართება ოთხი საათიდან 8 საათამდე

საბავშვო საღამო

რვიდან საათიდან

ჩეხოვის საღამო

ბილეთები ღირს 2 მან. 50 კაპეიკამდე. ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

## აჯანყების ლიკვიდაცია

როგორც ცნობებია, დუშეთის სამარცხვინო ისტორიას ბოლო ეღება. მთავრობის ჯარს და სახალხო გვარდიას უკვე აუღია გუდაური და კობი და მალე დარიალს მიაღწევს.

რიცხვ მრავალი მეამბოხენი ყველა ჯურის იარაღით არიან შეიარაღებული და სურსათი ბლომათ აქვთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც დამარცხდენ და დიდი ზარალიც ნახეს.

ეს გარემოება საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი საქმე მართალია, რომ ხალხის ფართო მასსა ჩვენ გვემხრობა, მაგრამ მოკლებულია ძალას და ორგანიზაციას ნაძირალებს გაუმკლავდეს. ის ძალით ჩათრეულია ამ მოღალატურ მოძრაობაში.

როგორ მოსულ ცნობებიდან ვიცით აჯანყებულთა შორის არიან რუსი არტილერისტები და შეიარაღებული სომხები და ოსები, სხვა და სხვა კუთხიდან მოსულები. არიან აგრეთვე სხვა და სხვა კუთხის ქართველებიც. აქედან ერთი უტყუარი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: დუშეთის მოძრაობა არ არის სტიქიური მოძრაობა, ვითომდა მთავრობის მოხელეთა უკანონო მოქმედებით გამოწვეულ, რის დამტკიცებასაც ცდილობენ ზოგიერთი დაინტერესებული პირები და ჯგუფები. ასე რომ ყოფილიყო, საიდან გაჩნდებოდენ სხვა და სხვა კუთხის ოსები, რუსები და მეგრელ-რაჭველ იმერლები?

ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ და სახალხო გვარდიამ. ინგლისის ერთ ძველ კანონში არის მუხლი, რომელიც აჯარიმებს იმ მოქალაქეს, რომელმაც სახლის კარები გაღებული დატოვა და ქურდი შეცდომაში შეიყვანა... დღეს დუშეთის გასწვრივ ხეობებში ცხარე აგიტაციას ეწევიან ნაძირალები და ხალხს უმტკიცებენ მთავრობის სისუსტეს. მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება ცხინვალში ჩვენი ამხანაგების დახოცვა და მთელი რაიონის აკლება და გაძარცვა.

ნება არა გვაქვს ჯავის ხეობა დავივიწყოთ: იქ აშკარათ მზადდება აჯანყება. თითონ ჩვენი ამხანაგის ირ. წერეთლის თანდასწრებით მიიღეს რეზოლიუცია—ექვსი კვირის შემდეგ გაცნობებთ ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთდებით, თუ საქართველოსთან დავრჩებითო. მოიგონეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლის მღ. ჯიოევის გულახდილი და რამდენიმეთ თავხედური საუბარი, რომელიც „ბორბა"-ში დაიბეჭდა.

ეტყობა ჯავაში მთავარი შტაბი აქვთ შეთქმულებს.

ჩვენ არ შეგვიძლია შეცდომაში შევიყვანოთ ოსეთის მშრომელი ხალხი, ნება არ გვაქვს ველოდოთ, სანამ მას მოღალატურათ არ ჩაითრევენ ბნელეთის მოციქულები და განსაცდელში არ ჩააგდებენ, როგორც თვით ამ ხეობის ხალხს, ისე მთელს საქართველოს. მთავრობის ხმალი უნდა იყოს სამართლიანი, მაგრამ იმავე დროს მკვეთრი დაუნდობელი. დუშეთის მაზრიდან ჩვენი ჯარი და გვარდია უნდა გადავიდეს გორის მაზრაში და ქვეყნის მოღალატეებს ლაგამი ამოსდოს.

მშრომელი ხალხი, რომელიც დღეს ტერორის ქვეშ გმინავს, სიხარულით შეხვდება მთავრობის ამ ნაბიჯს და მშვიდობიან ცხოვრების დამყარებაში თვით მიიღებს მონაწილეობას.

დაყოვნება შეუძლებელია, რადგან რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ხალხის კეთილდღეობა საფრთხეშია ჩავარდნილი.

სოციალისტურ სამოსელში გახვეულმა ნაძირალებმა და ყველა ჯურის შოვინისტ-ნაციონალისტებმა უნდა იგრძნონ, რომ რესპუბლიკის ხმალი ჯერ არ დაჩლუნგებულა, რომ ეს ხმალი ქარქაშში არ ჩაეგება, სანამ ხალხის მტრები ქედს არ მოიხრიან ხალხის წინაშე.

## ისევ სასურსათო სამინისტროს პოლიტიკის გამო

სასურსათო კრიზისი მწვავე ხასიათს იღებს. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა პურის სიძვირე.

სასურველი იქნებოდა სასურსათო სამინისტროს თითონ მოეწყო ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე, რაც მის პირდაპირს მოვალეობას შეადგენს.

მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ სამინისტროს ეს არ შეუძლია პურის მონოპოლიის შემოღება და ცხოვრებაში გატარება მის ძალას აღემატება. აქედან ერთად ერთი დასკვნა უნდა გამოეყვანა სამინისტროს: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მას არ უნდა აეკრძალა პურის და სხვა სურსათ-სანოვაგის თავისუფალი კონკურენცია თითონ შესძლებოდა იმას, რაც სამინისტრომ ვერ მოახერხა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, სასურსათო სამინისტრო და საგუბერნიო კომიტეტი თითქოს იზიარებენ ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულებებს თავისუფალ ვაჭრობის შესახებ. ჩვენ გვსურს დავიჯეროთ ეს, მაგრამ საუბედუროთ ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი ფაქტები, რომელიც სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებს.

ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ხაშურიდან დაბრუნებული ამხანაგი, რომელმაც გადმოგვცა, რომ ხაშურის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისათვის აუკრძალავთ სოფელში პურის შეძენა და ეს იმ დროს, როცა რკინის გზას საშუალება არ აქვს პური მიაწოდოს მათ. ერთმა ამხანაგმა გადმოგვცა შემდეგი ამბავი, რომელსაც თფილისის რკინის გზის სადგურზე ჰქონია ადგილი მკათათვის 6-ს საღამოს: რკინის გზის მოსამსახურეებმა ერთს მგზავრს ჩამოართვეს ერთი ტომარა პურის ფქვილი, რომელიც მას კახეთიდან ჩამოეტანა. ამავე რკინის გზის სადგურზე ამ თვის ცხრას გააჩერეს ორი მგზავრი, რომელთაც თითო ფუთი ფქვილი მოჰქონდათ და მხოლოდ დიდი ახსნა-განმარტების შემდეგ გაუშვეს. გარდა ამისა თითქმის ყოველდღე მოგვდის საჩივარი სოფლებიდან: ამა და ამ სოფელში წაართვეს სიმინდი, ფქვილი და სხვა სანოვაგეო.

შეუძლებელია ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდეს. თუ პურით კერძო ვაჭრობა აკრძალული იქნება, უნდა ყველას ეკრძალოს და ისე არ უნდა ხდებოდეს, რომ რკინის გზის სადგურში ფქვილს იჭერენ, ხოლო ვინც მოახერხებს ცველების ხელიდან მოსხლტომას და ქალაქში შემოსვლას, მას თავისუფლება ეძლეოდეს მცხოვრებლები ძარცვოს. თუ სამინისტროს მიერ მართლა ნება დართულია ჩვენი ქვეყნის საზღვრებში თავისუფალი ვაჭრობა, რასაც ჩვენ დღევანდელ პირობებში ენერგიულათ მოვითხოვთ, იმ შემთხვევაში სამინისტრომ ფიცხლავ უნდა დაგზავნოს შესაფერი მოწერილობები, რომ მცხოვრებლები არ შეაწუხონ და თუ საჭირო იქნება, დამნაშავეები სამართალში მისცეს.

## პრესა

გაზეთი „საქართველო" ერთი არაკის ნაცარქექიასავით ტრაბახობს, თავს იქებს. ასეთი მისი ხელობა ჩვენ, რასაკვირველია, არა გვშურს. მართლაც რა უნდა გვქონდეს „საქართველოს" შემდეგი სიტყვების საწინააღმდეგო:

„რომ დაგვიჯერეთ ჯარის შექმნა, ხომ კარგი გამოდგა. თუ სადმე იმარჯვებთ, ჯარით იმარჯვებთ. ეხლა ისიც დაგვიჯერეთ, რომ ჯარს აქვს ფუნქცია, გარეშე მტრის მოგერიება, უკიდურეს შემთხვევაში შინაურისაც, თუ იგი საგრძნობ და სახიფათო ძალას წარმოადგენს. შინაურ წესრიგის მოწყობა არის საქმე ადმინისტრაციისა და ადმინისტრაცია არა გყავთ."

მაგრამ „საქართველო" ამით არ კმაყოფილდება და კიდევ გვირჩევს: „ანარქიას მოსპობს კარგი ჯარი და კარგი ადმინისტრაცია". ამისთვის თურმე, „საჭიროა ყოველივე რეფორმების შეჩერება და მთელი ძალღონით წესრიგის აღდგენა, ადმინისტრაციის აპარატის შექმნა და სასამართლოს ძალის აღდგენა".

„საქართველოს" სურს განსვენებულ სტოლიპინის რეჟიმი გაცოცხლოს: ჯერ დამშვიდება, შემდეგ რეფორმებიო.

ასე ფიქრობს გაზეთი „საქართველო" საქართველოს აშენებას! და ქართველი მკითხველი რომ არ უჯერის, ეს ხალხი გერმანულ ენაზე სწერს ცხარე წერილებს გაზეთ „კავკაზიშე პოსტ"-ში. ასე ემსახურება ეს რუსულ „ვოზროჟდენიეს" ტყუპი ქართველ ხალხის ინტერესებს!

## საოლქო კომიტეტის წერილი რ. ს.-დ. მ. პ. ცენ. კომიტეტისადმი

ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა ღია წერილით მიმართა რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, რათა გაერკვია ყველა ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია ფორმალურათ ჩამოშორებოდა რუსეთს და გამოეცხადებია ჯერ ამიერ-კავკასიის, შემდეგ კი საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს წერილი, რომელიც საოლქო კომიტეტმა საგანგებო კაცის ხელით გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს, ივნისის პირველ რიცხვებში დაიბეჭდა მენშევიკურ გაზეთებში და „ნოვაია ჟიზნიდან" გადაბეჭდილ იქნა გერმანიის ს. დ. გაზეთ „ფორვერტს"-ში. ეს მოხდა სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენი ამხანაგები მოლაპარაკებას აწარმოებდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, გერმანიის სოციალ-დემოკრატია, განსაკუთრებით მისი დამოუკიდებელი ფრთა, საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებას უარყოფით შეხვდა, რადგან მან ამაში რუსეთის ს.-დემოკრატიის ღალატი დაინახა. აღნიშნულ წერილის „ფორვერტს"-ში დაბეჭდვამ გერმანიის ს.-დ. შეხედულება ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიაზე ძირეულიანათ შესცვალა. მათ ამ წერილიდან გაიგეს, თუ რა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო ამიერ-კავკასიის ს.-დემოკრატიული პარტია, კავკასიიდან რუსეთის ჯარების წასვლამ და ბოლშევიკების მუქარამ ერთის მხრით, ოსმალეთის საშიშროებამ და ამიერ-კავკასიის თათრების მუხანათობამ მეორე მხრით. ს.-დემოკრატიულ პარტიას ერთად ერთი საშუალება შერჩა—საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება, ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ გარეშე ამისა ხსნა აღარ იყო. ამ წერილის შემდეგ ჩვენს წარმომადგენლებს თანაგრძნობით შეხვდა, როგორც გერმანიის სოც.-დემოკრატია საერთოდ, ისე დამოუკიდებელი ფრთა ამ პარტიისა და აღუთქვეს ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა შესაძლებლობის ფარგლებში.

საოლქო კომიტეტის წერილში ჩამოთვლილია დამოუკიდებლობის გამოცხადების ის მიზეზები, რომელიც არაერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში და ამიტომ წერილს აღარ ვბეჭდავთ.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

12 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **კარლო ჩხეიძე**. საბჭოს მდივანი აქვეყნებს დღის წეს-რიგს. **რ. არსენიძე** კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონ პროექტების საბოლოო რედაქციას, საბჭომ ყველა კანონ-პროექტები შესწორებით საბოლოოდ დაამტკიცა. საკონსტიტუციო კომისიის წევრი **რ. არსენიძე** აკეთებს მოხსენებას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონ პროექტის შესახებ. კანონ-პროექტი კამათს იწვევს. კამათში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის მინისტრ **შ. მესხიშვილმა**, მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანიამ ი. გ. წერეთელმა** და სხვებმა. კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებათ ითვლებიან ყველა ისინი, რომელნიც მიწერილნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე. დროებით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებნი არ ირიცხებიან მიწერილათ. საქართველოს მოქალაქეებათ რჩებიან დროებით აქედან წასულნი რომელთაც აქვთ საქართველოდან საბუთები, მოწმობები მიცემული. ორნაირი ქვეშევრდომობის პრინციპი საბჭომ უარყო.

**შ. მესხიშვილი** განმარტებას იძლევა, რომ როცა მთავრობამ მოიწონა ეს კანონ-პროექტი, მაშინ მას აზრათ არ ქონდა ვისიმე უფლებებს შევიწროება და შეზღუდვა. საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან ისინი, ვინც ორგანიულად დაკავშირებულია მასთან (საქართველოსთან). ორატორი საჭიროდ აღიარებს კანონ-პროექტს საფუძვლად დაედვას ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეებად აღიარებულ იქნას ყველა ის, ვინც ომის დაწყებამდე ე. ი. 1914 წ. 19 ივლისამდე მიწერილი იყო ადმინისტრატიულ ერთეულებს. მთავრობა ნატურალიზაციის საკითხის სასწრაფოდ გადაჭრას საჭიროდ არ სცნობს. მთავრობა ამასთან ერთად წინააღმდეგია საერთო ფიცის. ასეთი სავალდებულოა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთათვის.

საბჭო შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. კანონ-პროექტი მიიღო საბჭომ მთავრობის შესწორებებით, გარდა იმ მუხლისა, რომელიც პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. სახელმწიფო სამსახურში გარეშე ქვეშევრდომთა დროებით მიღების შესახებ. **ნ. ჟორდანია** აცხადებს, რომ მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რომ კანონ პროექტში არ იქნას შეტანილი უცხოელების უფლებებზე რამე, რადგანაც მოხელეები პოლიტიკას კი არ აწარმოებენ, არამედ ანხორციელებენ და ატარებენ ცხოვრებაში მთავრობის პოლიტიკას.

**რ. არსენიძე** აღნიშნავს, რომ პოლიტიკური უფლება სამნაირია: საკანონმდებლო მუშაობა, ადმინისტრატიული და სასამართლო. ის პირნი, რომელნიც ასრულებენ უმაღლეს ადმინისტრატიულ თანამდებობას, მაგ. გუბერნიის კომისარი, ატარებენ პოლიტიკურ უფლებებსაც. მთავრობის შესწორება უარყოფილ იქნა კენჭის ყრით. საერთოდ კანონ-პროექტი მიღებულ იქნა. ნაციონალიზაცია და ქვეშევრდომობის დაკარგვის საკითხი აღნუსხულ იქნება განსაკუთრებულ კანონში.

**ი. გობეჩია** აკეთებს მოხსენებას გზათა სამინისტროსთან ავტომობილის განყოფილების დაარსების შესახებ და მოითხოვს ყველა ავტომობილების ამ განყოფილებაზე გადაცემას. კანონ-პროექტი მიღებულ იქნა საჭირო თანხის გადადებით ამ საქმის მოსაწესრიგებლათ.

**ლ. ნათაძე** სწავლა განათლების კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს საშუალო და სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ პირველათათვის 2 თვიანი მეორეთათვის კი სამ თვიანი კურსების მოწყობის შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით აღნიშნავს ამისთანა კურსების აუცილებლობას, დასასრულ უდგენს საბჭოს ამ კურსების მოსაწყობათ ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვას. **გ. ქიქოძე** საფინანსო კომისიის სახელით ამბობს, რომ საფინანსო კომისიამ ასეთი კურსების მოწყობის შესახებ უარი გამოსთქვა ფინანსიური კრიზისის გამო, თუმც ასეთი კურსების აუცილებლობას სცნობს.

განათლების მინისტრი **ლასხიშვილი** საბჭოს მოახსენებს სამინისტროს მიერ სწავლა-განათლების სფეროში განზრახულ რეორგანიზაციის შესახებ, ისადგენს თავის მოქმედების პროგრამას და გეგმას და მოითხოვს საბჭომ წარმოდგენილი კანონ პროექტი მიიღოს ამ საკითხის შესახებ ლაპარაკობენ კიდევ რამდენიმე ორატორები. კამათის შემდეგ საბჭომ კანონ-პროექტი მიიღო. საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კურსებისთვის რომელიც იქნება მოწყობილი თფილისში გადაიდვა 125,000 მან., სახალხო მასწავლებელთა კურსებისთვის —252 ათასი მანეთი.

შეკითხვების განხილვა საბჭომ გადადვა შემდეგი სხდომისთვის, რომელიც შესდგება 15 ივლისს.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

13 ივლისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. იპრის და ბეილოლის დასავლეთით და აგრეთვე ალბერტის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. მდ. ენსა და მარნას შორის ფრანგები თავგამოდებით იბრძვიან: ვილლერ-კოტტერის ტყეში ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. რეიმსის აღმოსავლეთით მტრის მზვერავი რაზმების იერიში მოვიგერიეთ.

**ვენა.** ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ფრონტის ყველა ნაწილებში სუსტი საარტილერიო სროლაა. მდ. იორდანეს აღმოსავლეთით მტრის იერიში მო-

ვიგერიეთ. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 12 ივლისი. დღეს დილით საფრანგეთის ჯარებმა კ-პელის და ვიელი-სუმეველის ფრონტზე ბრწყინვალე იერიში მიიტანეს მტერზე. აქ წამოიყვანეს 500 მდე ტყვე.

**ბერლინი.** გენერალ-ფელდმარშალ ჰინდენბურგს ფინლიანდიის მთავრობამ უბოძა ფინლიანდიის თავისუფლების დიდი ჯვარი. ჰინდენბურგმა სამადლობელ დეპეშაში აღნიშნა, რომ გერმანია-ფინლიანდიის კავშირი ფინლიანდიას ააყვავებსო.

**მოსკოვი.** საბჭოს რესპუბლიკის საბჭოების ყრილობაზე ორი-მესამედი ხმით მოწონებულ იქნა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. ამავე დროს ყრილობამ პროტესტი განაცხადა გერმანიასთან ომის განახლების წინააღმდეგ.

**სტოკჰოლმი.** ახალ მიღებულ ცნობებით მეფე ნიკოლოზი მეორე ცოცხალია, მისი შვილი ალექსი კი მოკლულია.

**ბერლინი.** რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში კანცლერმა აღნიშნა, რომ მოსკოვში მომხდარი ბოროტმოქმედებასთან სამთა კავშირს აქვს კავშირი. სამთა კავშირს სურს, რომ რუსეთმა გერმანიასთან ომი განაახლოს.

**ბერლინი.** გრ. მირბახის მოკვლის გამო კაიზერ ვილჰელმმა მიიღო სამგლოვიარო დეპეშები ავსტრიის იმპერატორის და ბავარიის მეფისაგან.

**ჰააგა.** პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ 11 ივლისს შუადღისას სლიუის პროვინციაში უდერშაისთან ხელ-ახლა ჩამოაგდეს ორი ყუმბარა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ყუმბარები ინგლისში გაკეთებულია.

**ბერლინი.** სტატს სეკრეტარი კიულმანი სამსახურიდან გადადგა. მის ალაგს დაინიშნა ქრისტიანიაში ელჩად ნამყოფი გინტცე.

## უკანასკნელი ცნობები

### გუდაური

გუშინ, 13 ივლისს დილით გუდაურიდან დეპეშით შემდეგი ცნობა მოვიდა დილის 5 ს. 20 წ. გამოგზავნილი: „გუშინ, 12 ივლისს, გუდაურში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ დამთავრდა. ტყვეთ წამოიყვანეთ რაჭველები, ლეჩხუმელები, მეგრელები და რუსები. (რუსები ყველანი ტყვიისმფრქვეველთა მსროლელები და არტილერისტები არიან). ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელა პოლ. ი. გედევანიშვილის პარტიზანულმა რაზმმა. ამ რაზმში განსაკუთრებულის სიმამაცით იბრძოდა „მოტოციკლეტისტ-პულემიოტჩიკი“ გომელაური, რომელიც სამწუხაროდ, მკერდში დაგვიჭრეს. ხვალ იქნება გადამწყვეტი ბრძოლა, რითაც ბოლო მოეღება საქართველოს სამხედრო გზაზე ბოლშევიკური „ბანდების“ თარეშს ჯერ-ჯერობით მტერს შერჩა 2 ზარბაზანი. მთელი შემადგენლობა ჩვენი რაზმებისა მამაცურად იბრძვის, სულიერი განწყობილება ჯარში საუკეთესოა. გენ. კონიევის დამატებითი ცნობით აქ ჩვენს ჯარს ხელთ უგდია 3 ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი.

### კობი.

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი ცნობა მიიღო: „გუშინ, 12 ივლისს, მედგარ ბრძოლის შემდეგ აეიღეთ გუდაური, მოწინააღმდეგენი გავფანტეთ, რომელმაც ჩვენ მიერ დაზიანებული ზარბაზნებს წაღება მაინც მოასწრეს. თითქმის უბრძოლველათ დავიკავეთ ჯვრის უღელტეხილი; ჩვენ დაგვიჭრეს მხოლოდ 2 კაცი. დღეს, 13 ივლისს, გედევანიშვილის პარტიზანულმა რაზმმა როტმისტრ. ჩხაიძის ესკადრონით ერთად მსწრაფლ დაიკავა კობი და თავზარი დასცა მტერს. ოსები გაიპარნენ გამოქვაბულებში და სროლა აუტეხეს ჩვენ რაზმებს. შემდეგ სამშვიდობო დელეგაცია მოგვიგზავნეს შესარიგებლათ. ბოლშევიკებმა მცხოვრებლები დააშინეს. მათ პროვოკაციას საზღვარი არა აქვს. სოფლები დაცარიელებულია. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ კავკავიდან მოვიდა 400 მეგრელი და ლეჩხუმელი ორი ზარბაზნით ცნობილი საშა გეგეჭკორის მეთაურობით. მათ ყაზბეგელებს იარაღი აჰყარეს. მათ არ იცოდნენ, რომ ჩვენ კობში ვიყავით. შეკითხვაზე, თუ როდის იქნება მაშველი ჯარი, გვიპასუხეს: ნახევარი საათია რაც 3 ავტომობილი წამოვიდა, მაგრამ უკვე სამი საათი გავიდა და არავინ სჩანდა. ჩვენ დაგვიჭრეს 2 კაცი პარტიზანული რაზმიდან.

კობიდან ამხ ფეხელაური ტელეფონით იტყობინება: „ჩვენ დღეს, 13 ივლის დილით, შევედით კობში. აქ ბოლშევიკები დავამარცხეთ და ზევით, კავკავისაკენ, გავრეკეთ ყაზბეგთან ჯერ დამოკიდებულება არა გვაქვს. იქ ჯერ ჩვენები არ მისულან. დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ“.

### ქუთაისი

ქუთაისიდან გენ. სუმბათაშვილი, რომელიც ლეჩხუმისაკენ მიმავალ რაზმს მეთაურობს, სამხედრო მინისტრს დეპეშით შემდეგს აცნობებს: ყოველ ხაზზე, ყოველ სადგურზე გაძლიერებულია საყარაულო რაზმი თრია რაზმი იარაღს ყრის

ახლო მდებარე სოფლებს. სამხედრო ოსეთის გზას ვინთავისუფლებთ. ძლიერი წვიმები ხელს გვიშლის მოქმედებაში.

### თიანეთი.

მაზრაში სრული სიწყნარეა, მცხოვრებლებმა იარაღი ჩააბარეს მთავრობას და შეუდგნენ ყანების მუშაობას.

## პროვოკაციის ქსელი

### ბოლშევიკები და დაშნაკელები.

დამოუკიდებელ საქართველოს მტრებში ამ ორ პარტიას პირველი როლი შეიძლება მიეკუთვნოს. ეს დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ყოველი დაშნაკელი—სომეხი შოვინისტია. ასევე ითქმის იმ ბოლშევიკებზე, რომლებიც ყველგან იმის ცდაში არიან, რომ განამტკიცონ რუსეთის ეგრეთ წოდებული მუშათა და გლეხთა მთავრობა. გადაფხიკეთ რუსი ბოლშევიკი და თქვენ მიიღებთ რუს-შავრაზმელს, ჰეშმარიტ რუსს. ამ შემთხვევაში სომეხი შოვინისტი და რუსი შავრაზმელი, დაშნაკელის და ბოლშევიზმის სახით, გაერთიანებულია საქართველოს წინააღმდეგ. თუ რა ზარალის მოტანა შეუძლია ამ ხალხს ჩვენთვის საქართველოს ტერიტორიაზე, ამას ჩვენ დავინახავთ, შევსძლებთ მათ წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღებას, მაგრამ ჩვენთვის შავი ბურუსით იქნება მოცული უმეტეს შემთხვევაში ამ ხალხის მოღვაწეობა საქართველოს გარეთ.

ისინი უკვე დიდი ხანია შეუდგენ საქართველოს რესპუბლიკის სახელის გატეხას სხვა სახელმწიფოთა და რესპუბლიკათა მცხოვრებლების თვალში. ამ საქმეში მათთვის ჯერჯერობით საუკეთესო ასპარეზს წარმოადგენს რუსეთი.

რუსეთი ხომ ბოლშევიკების ქვეყანაა. მრავლად მოიპოვებიან აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში მოსახლე სომეხთა შორის დაშნაკელები.

ბოლშევიკური მთავრობის და ბოლშევიკების პარტიული პრესა სააგიტაციოთ ხომ საუკეთესო იარაღია!

ამ მხრით არც სომეხი-დაშნაკელები არიან უმწეოთ. ამათაც ბევრ ალაგას აქვთ რუსეთში საკუთარი პრესა. სომეხი შოვინისტები მათ ამ მხრით უყურადღებოთ არ სტოვებენ: მათი განზრახვების გამომხატველი პრესის არსებობა უზრუნველყოფილია. ამას გარდა, ბოლშევიკურ გაზეთებშიაც ხშირად სწერენ დაშნაკელები. და ასე, გაჩაღებულია საქართველოს წინააღმდეგ აღვირ-წახსნილი, უშვერი აგიტაცია. როცა ასეთი გაზეთი შემთხვევით უვარდება ხელში და კითხულობს საქმესთან გაუცნობელი კაცი—ალბათ, ფიქრობს:—ეს რაღაც საქართველოა, რა დალუპული ქვეყანა ყოფილა რა უსინდისო მთავრობა ჰყოლია, როგორ აწვალებენ ხალხს—სწორედ სულთანის წყობილება აჯობებს ამ დემოკრატიულ წყობილებასო და სხ.

ამ ჟამად ჩვენ წინ დევს ორი გაზეთი ბოლშევიკური და დაშნაკელების. ბოლშევიკების „ტერსკაია პრავდა“, რომელიც კავკავში გამოდის, სწერს: „ვინ არიან ისინი?“ ვინ არიან ისინი, რომლებმაც გლეხთა ამიერ-კავკასია მიჰყიდეს ოსმალეთის საშუალო საუკუნის ფეოდალებს? ჩვენ იმათ ძლიერ კარგათ ვიცნობთ... ისინი ამშვენებდენ რუსეთის რევოლიუციის მატიანეს ფურცლებს, ვიდრე ეს რევოლიუცია იყო „მთელი ქვეყნის ცოცხალ ძალთა რევოლიუცია“... ესენი არიან ჟორდანია, წერეთელი, ჩხენკელი, გეგეჭკორი და კომპ., რომლებმაც, დამარცხდა თუ არა მათი შემთანხმებელი პოლიტიკა ცენტრში, თავიანთი მოღვაწეობა გადაიტანეს კავკასიაში და იქ გამოვიდენ მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ. ეს ის ხალხია, რომელთაც მუშის, ეგნატე ნინოშვილის მიერ დაარსებული სოციალ დემოკრატიული პარტია საქართველოში, გადააქციეს პოლიტიკურ გაძვერობის და ლაქიობის თავშესაფარად მუქავატელი ბეგების, ხანების და ოსმალეთის ფაშებისა. ეს ის ხალხია, რომელთაც მუსულმანთა ბნელი მასსა წაუსისიანეს ფრონტიდან მიმავალ ჯარისკაცებს, დახვრიტეს მშვიდობიანი მიტინგი მუშებ სა და ჯარისკაცებისა, დახოცეს გაფიცული მუშები, რომლებიც გზავნიდენ აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ დამსჯელ რაზმებს.. ესენი თავადები არისტოკრატები, მენშევიკი „თავად-აზნაურები“ არიან, რომლებიც თავს უწოდებდენ სოციალ დემოკრატებს, ასე დიდხანს ერთობოდენ მარქსით, ენგელსით, საერთაშორისო სოციალიზმით, ახლა კი საშიშროებას წინაშე, რომელიც მათ მოელოდა მუშათა და გლეხთა რევოლიუციის სახით, თავიანთი ქვეყანა მიჰყიდეს ოსმალეთის ფეოდალებს (ბეგ-მამულებს), რომ ოსმალეთის ფაშების შემწეობით დაებრუნებიათ თავიანთი უფლება-უპირატესობანი. ესენი დაბოლოს ისინი არიან, რომლებიც თავიანთი პროვოკატორული პოლიტიკით აიარა ღებენ ერთი მეორის წინააღმდეგ სხვადასხვა ერის მშრომელთ, რომ ასეთი საშუალებით გასრისონ და გაანადგურონ ბაქოში საბჭოთა მთავრობა. აი ვინ არიან ესენი. („ტერსკ. პრავ.“ № 27).

დაშნაკელების რუსული „ვპერიოდ“-ი, რომელიც ბაქოში გამოდის, სწერს: „მენშევიკების ბელადებმა ჩხენკელმა, წერეთელმა, ჩხეიძემ თავადების უფლებათა აღდგენისათვის საზიზღარი მოტყუილებით უღალატეს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას და დღეს ისინი სხედან სომეხი ხალხის ნანგრევებზე, გაჭყლეტილი ქართველი და თათარი გლეხების გვამებზე, რომლებიც აჯანყდენ მათი აზნაურული მონობის წინააღმდეგ. დღეს ისინი მხიარულად დღესასწაულობენ თავიანთ დროებითი გამარჯვებას. („ვპერ.“ № 2)

ეს ადგილი ჩვენ ამოვიღეთ იმ მოწოდებიდან, რომელიც მიმართულია „მთელი კავკასიის წითელი არმიელების და მშრომელი ხალხ სადმი—სომეხთა რევოლიუციონური პარტიის დაშნაკცუთიუნის მიერ და დევიზათ აწერია: „თავისუფლება ან სიკვდილი“,—ვინაიდან ის—ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლიუცია, განსაცდელშიაო“.

კითხულობ ამგვარ მოწოდებებს და თავს ეკითხები: რა უნდა გააკეთოს იმ ქვეყანამ, სადაც ამგვარ ყიჩაღურ მოწოდებებს სწერენ და კითხულობენ!..

დაშნაკელების ამავე გაზეთში მოთავსებულია ე. ფრანგიანის წერილი „საქართველო და ოსმალეთი—გერმანიის ორიენტაცია“. ამ ვაჟბატონს გერმანიიდან ნემეცურ ენაზე მიუღია წიგნი—„საქართველო და საერთაშორისო ომი“; ამ წიგნიდან ადგილებს მოყვანით ის აზრია „დამტკიცებული“ მის წერილში, რომ ომის გამოცხადებიდანვე ქართველი ხალხი ოსმალეთ-გერმანიის ორიენტაციის მომხრე იყოვო. ამის მტკიცება ახლა საზიზღრათ დაბეზღებაა მთელი ქართველი ხალხისა. ოსმალეთის მომხრე ახლაც მოიპოვება საქართველოში თითო-ოროლა პირი, მაგრამ ჩვენი ხალხი თავიდანვე რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო, ვიდრე ბოლშევიკურმა რუსეთმა არ მიგვცა პირში დესპოტიურ ოსმალეთს. აი აქ გამოჩნდა ჩვენი ხალხის დამხსნელი და მფარველი ოსმალეთისაგან ჯერჯერობით გერმანია. ამიტომაა ამ ჟამათ ხალხიც გერმანიის ორიენტაციის მომხრე!

წიგნში სხვათა შორის ნათქვამი ყოფილა ქართველობის რაოდენობა 3 მილიონამდე აღწევსო, ეს ვერ მოუთმენია ბ ნ ე. ფრანგიანს და შენიშნავს: „უკანასკნელი აღწერით მთელი ქართველობის რაოდენობა დაახლოვებით 1.600.000 მდე აღწევსო“.

შეიძლება სომხები ქართველებზე მეტნი არიან საქართველოში?!

ამას წინეთ ერთ-ერთ ადგილობრივ რუსულ გაზეთში გ. თუმანოვი სწერდა: ქართველები დაახლოვებით 1.700.000 სულამდეა და ცალკე რესპუბლიკა მიიღო საქართველომ. სომხების რიცხვი კი 1.600.000-მდეა და თუ ამას დაუმატებთ ერევნის და სხვა გუბერნიების ლტოლვილთ, გაცილებით მეტი იქნება, მაგრამ სომხებზე არავინ კრინტს არ სძრავსო.

ჩვენის აზრით, ლტოლვილების დასასახლებლათ ჩვენ თავისუფალი მიწა-წყალი არ მოგვეპოვება. მათ უნდა დასტოვონ საქართველოს ტერიტორიის საზღვრები!..

საზოგადოთ საჭიროა, სადაც კი დაილაპარაკებენ თუ დასწერენ საქართველოს წინააღმდეგ, იქვე გაეცეს შეძლების დაგვარათ შესაფერი პასუხი. აი რა უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც კი მომხრეა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის.

## მიწის საკითხი და ჩვენი ტაქტიკა

სოციალ დემოკრატიის მიზანი, სოციალიზმის განხორციელებაა, ამისთვის მას აქვს თეორიულათ შემუშავებული პროგრამა, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილათ: პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი. სხვა რეფორმათა შორის, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის დროს, პროგრამა მინიმუმში შეტანილია მიწის საკითხიც. მიწის საკითხის გადაჭრა, ისე, რომ გლეხობის სურვილი დაკმაყოფილდეს, უდიდესი გარანტიაა თანამედროვე რევოლიუციის განმტკიცებისათვის.

თვითეული პოლიტიკური პარტია დღემდის სხვადასხვა ნაირათ ფიქრობდა მიწის საკითხის გადაჭრას. ასე მაგალითად: ბოლშევიკები თხოულობდენ მიწის ნაციონალიზაციას, ესერები და სოც.-ფედერალისტები—სოციალიზაციას, ნაციონალ-დემოკ. მო თხოვდენ მემამულეთაგან მიწების ფასით გამოყიდვას გლეხების მიერ, ხოლო ჩვენი, სოციალ-დემოკრატების სურვილი იყო ჩამორთმეულ მიწების მუნიციპალიზაცია. როდესაც ჩვენ მუნიციპალიზაციას ვთხოულობდით, სახეში გვქონდა ორი უპირატესობანი ამ მეხლისა. რომ მუნიციპალიზაცია განხორციელებულიყო, ყველა ჩამორთმეული მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივათ არჩეული კომიტეტების, ან ერობის ხელში, რომელიც ხსენებულ მიწებზე დააწესებდა მინიმალურ იჯარას და ამ იჯარიდან მოგროვილი თანხა მოხმარდებოდა ისევ ადგილობრივ კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების საქმეებს. როგორიცაა მაგალითად: სკოლების გახსნა, გზებისა და ხიდების გაკეთება, ქსენონების დაარსება, სამკითხველოების მოწყობა და სხვა, რაიც დიდ სარგებლობას მოუტანდა თვით ადგილობრივ მცხოვრებლებს. მეორეს მხრით ჩვენ სახეში გვქონდა მიწის საკითხის ასე გადაჭრით ხელი შეგვეწყო სოფლათ კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მაგრამ სურვილი სხვაა და შესაძლებლობა, პრაქტიკულათ სისრულეში მოყვანა კიდევ სხვა.

თუმცა ყველა მიწები განსაზღვრულ ნორმის ზევით 7 მარტის კანონის ძალით უკვე ჩამოერთვა მემამულეებს, მაგრამ არ არის საბოლოოთ გამორკვეული, თუ ვის უნდა გადაეცეს ეს მიწები და რა სახით. როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, მუნიციპალიზაციის განხორციელება იწვევს დიდ სიძნელეს და წინააღმდეგობას დღევანდელ პირობებში. ამ სახით მიწის საკითხის გადაჭრა საუკეთესო სადემაგოგიო მასალათ გამოიყენეს დღევანდელმა ჩვენმა ქვეყნის მტრებმა და ათასგვარი ჭორები გაავრცელეს განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის უფრო ჩამორჩენილ კუთხეებში და მით ანარქიას და არევ-დარევას ნიადაგი მოუმზადეს. ჯერ იყო და მემამულეების გაზეთმა „საქართველომ“ დაიწყო გამოლაშქრება მუნიციპალიზაციის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ თუ მიწები კომიტეტების ხელში გადავიდა გლეხებს გაცილებით მეტი იჯარის გადახდა მოუწევთ, ვინემ მემამულეები ახდევინებდენ, რადგანაც კომიტეტების შენახვა ძვირი დაჯდებაო. შემდეგ ამით ფართეთ ისარგებლეს თვით ბოლშევიკების აგენტებმაც, რომლებიც დუშეთის მაზრასა და საქართველოს სხვა ბნელ კუთხეებში დაძვრებოდენ და ხალხს ეუბნებოდენ: მენშევიკები მიწებს საკუთრებათ იმიტომ არ გირიგებენ, რომ შემდეგ ისევ მემამულეებს უნდა დაუბრუნონო, რითაც მათ შესძლეს გლეხების შეცდომაში შეყვანა განსაკუთრებით დუშეთის მაზრაში და ხალხი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ აამხედრეს.

თუმცა ჩვენი მიზანი იყო მუნიციპალიზაციის განხორციელება, მაგრამ ეს ჩვენ დოგმათ არ გვქონდა აღიარებული. ჩვენი ტაქტიკა ყოველთვის ადგილობრივ პირობების მიხედვით იზომებოდა და ასეა ის დღესაც. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ხალხის, დემოკრატიის მოთხოვნილებას.

გლეხი ბუნებით კონსერვატორია, მას მაგრათ აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი კერძო საკუთრების გრძნობა. მას ვერ წარმოუდგენია საზოგადო, საერთო მისთვისაც თუ სასარგებლოა, ამიტომ გლეხს ათასჯერ ურჩევნია ცოტა ჰქონდეს და საკუთრათ ჰქონდეს. ამიტომაა რომ გლეხები დღემდისაც უნდობლათ უყურებენ მიწის რეფორმას და არ სწამთ, რომ ეს რეფორმა მათთვის სასარგებლოა. ამას ამტკიცებენ თითქმის ყველა მიმღები კომისიები. ამან აიძულა სოციალდემოკრატიულ პარტია ამ მოვლენისათვის ანგარიში გაეწია და მიწათ-მფლობელობის ფორმა გამოენახა. ეს ფორმაა მიწების გლეხებზე საკუთრებათ გადაცემა, რაშიაც ისინი ერთდროულათ გადაიხდიან ადგილობრივ პირობებისდა მიხედვით დაწესებულ ნორმალურ ფასებს სახელმწიფოს სასარგებლოთ, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს ფორმა ძალაში არ არის შესული, ის ჯერ მხოლოდ სურვილია სოციალდემოკრატიის და უნდა დააკანონოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ. მაგრამ უნდა აღვნიშნო ამ ფორმის რამდენიმე დადებითი და სასარგებლო მხარეები ჩვენი რესპუბლიკისათვის.

როგორც ვიცით, ამ ომის დროს გამოიცა აუარებელი ქაღალდის ფულები, რომლებიც უმთავრესად დაგროვდა სოფელში გლეხების ხელში. ეს იმით აიხსნება, რომ გლეხს ჩვეულებრივათ ბაზარზე გამოჰქონდა გასაყიდათ სამეურნეო ნაწარმოები და ძვირათ ჰყიდდა, სამაგიეროთ ძალიან ნაკლებათ ყიდულობდა საქარხნო ნაწარმოებს, რადგანაც ამ უკანასკნელის დიდი ნაკლებობაა. ამიტომ გლეხი იძულებული იყო ეს ფულები სახლში შეენახა. ასეთი ქაღალდის ფულით დღეს მდიდარია სოფლის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა და როდესაც გლეხი მ წის კერძო საკუთრებათ შეძენისათვის ამ ფულებს გაიღებს სახელმწიფოს სასარგებლოთ, ამით ჩვენი სუსტი ფინანსები საგრძნობლათ გაუმჯობესდება და ჩვენი მთავრობაც ადვილათ მოაგვარებს იმ აუარებელი ფინანსების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელიც ესაჭიროება ახალ რესპუბლიკის მოწყობა-განმტკიცებას. მეორეს მხრათ გლეხებსაც ეცოდინებათ, რომ მიწები უკვე მის კერძო საკუთრებას შეადგენს და ესეც კარგი გარანტია იქნება სოფლებში ანარქიის ჩასაქრობათ და მთავრობისადმი უკმაყოფილების გასაქარწყლებლათ.

ამ საკითხის გადაჭრა დაუყონებლივ არის საჭირო, მაგრამ საჭიროა აგრეთვე გლეხების აზრიც ამ საგანზე, ამისთვის ჩვენი გაზეთი ამას წინათ მოუწოდებდა გლეხთა სოფლის ორგანიზაციებს გამოეთქვათ თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ, მაგრამ დღემდის, როგორც ვიცით არც ერთი ორგანიზაციის აზრი არ მოსულა. საჭიროა გლეხთა კომიტეტებმა დაუყოვნებლივ მოახდინონ სოფლებში კრებები და გააცნონ ხალხს ახალ წამოყენებული დებულების მნიშვნელობა და თავიანთი აზრი გააგებინონ ამის შესახებ, ვისაც ჯერ არს.

ხ. ელიაძე.

## ახალი ამბები

**დღეს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში შესდგება თფილისში მცხოვრებ მეგრელთა საზოგადო კრება.**

◆ **საქართველოს ეროვნული საბჭო.** 15 ივლისს 11 საათზე შესდგება არა ჩვეულებრივი კრება საქარ. ერ. საბჭოსი. გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1. მთავრობის პასუხი შეკითხვებზე.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი** შინაგან საქმეთა სამინისტროდან გზათა მიმოსვლის სამინისტროს განკარგულებაში გადადის.

◆ **მთავრობის სასწრაფო სხდომაზე** 12 ივლისს განხილულ იქნა სამხ. მინისტროს მოხსენება საქართველოს ჯარის სამხედრო მმართველობის შესახებ. ამის შესახებ მთავრობამ დაადგინა, დაევალოს სამხ. მინისტრ ხელახლად შეადგინოს ხსენებული პროექტი, რომელშიაც შეტანილ უნდა იქნეს ის დამატება-შესწორებანი ამ კრებაზე მიღებული.

◆ **მანგლისის კომისარმა** დეპეშით შუამდგომლობა აღძრა ეროვნულ საბჭოს წინაშე გადაიდოს მობილიზაცია 1899—95 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებისა, რადგანაც იქ ამ ჟამად გაჩაღებული მუშაობაა.

◆ **სამხედრო საისტორიო კომისია** მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს ბათუმის არქივში. ოსმალეთის მთავრობამ ნება დართო საქართველოს წარმომადგენლებს ხსენებულ არქივში მუშაობისა.

◆ **ქალაქთა კავშირმა** შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან ფულით დახმარება აღმოუჩინონ მას.

◆ **მბეჭდავთა საქმის მუშების კრება.** კვირას, 14 ივლისს, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის პრ., № 91) დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის წევრების საერთო კრება. დღის წესრიგი: ტარიფი, განხილვა და დამტკიცება უმუშევართა დახმარების წესებისა, ყოველთვიური საწევრო გადასახადების გადიდება, მიმდინარე საქმეები. რადგან დღის წესრიგში ძლიერ საყურადღებო და საჩქარო კითხვები დგას, გამგეობა სთხოვს ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას და ნუ დაგვიანებენ.

◆ **მთავარი გამგე საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილებისა** ფინანსთა სამინისტროში დ. გ. აფხაზი ლიკვიდაციის საქმეების შესახებ, შაბათის მაგიერ, იღებს პარასკეობით 11-დან 1 საათამდე. სხვა დღეებში კი წინათ გამოცხადებული წესი რჩება.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი** აკ. ი. ჩხენკელი 11 ივლისს ბერლინიდან სტამბოლში წასულა კონფერენციაზე დასასწრებლად.

◆ **სომხის ეროვნულ საბჭოს** მოუვიდა 12 ივლისს ცნობა, რომ 9 ივლისს ოსმალებმა წაუყენეს ერევნის სომხის ნაციონალურ კომიტეტს ულტიმატუმი მუსულმანურ სოფლების ზიანა და კერპალაურ დაცლის შესახებ. მათ არ დაუცადეს ულტიმატუმის პასუხს და იმავე დღეს დაიწყეს სამხედრო ოპერაციები სომხების წინააღმდეგ.

◆ **სპეციალურმა ტეხნიკურმა კომისიამ** აღიარა შესაძლოთ გადიდება ქვის ნახშირის დამუშავებისა ტყვიბულის მაღაროებში. ამავე კომისიამ დაინახა, რომ რაიონში ფოთი-სამტრედია-ყვირილა-ტყვიბულის შტოსთან ერთად ორთქლმავალთა ამოძრავება შეიძლება ქვის ნახშირით. ორთქლმავალთა გადაკეთებამ დიდი ქვის ნახშირის მოსახმარათ მოგვცა კარგი შედეგები, მხოლოდ საორთქლმავალო ბრიგადების სიმცირეა. ასეთების მოსამზადებლათ სამტრედიაში არსდება სკოლა.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე, მე 6 გიმნაზიის შენობაში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია კრება მე 4 რაიონის სოციალდემოკრატებისა. ეროვნულ საბჭოს წევრი დ. ონიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „აგრარული რეფორმა საქართველოში“. მოხსენების შემდეგ იქნება კამათი. საჭიროა აუცილებლათ დაესწრონ ამხანაგები.

◆ **თფილისის გარნიზონის უფროსი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, შემდეგი: 7 ივლისს სასტუმრო „უნივერსალში“ შევიდა მთვრალი აფიცერი ქუთაისის ცხენოსანთა ასეულისა დ. ასათიანი და მოსთხოვა ბუფეტის პატრონს 100 მ. და რომ უარი მიიღო, მოჰყვა ლანძღვას და ხელითაც კი შეეხო ოფიციანტს. იქვე მყოფმა შტ.-კაპ. ლორთქიფანიძემ მას შენიშვნა მისცა, რის შედეგათ იგი ასათიანის მიერ ხანჯლით თავში [illegible] ამის გამო ასათიანი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და [illegible] ტარების უფლებაც არა აქვს.

◆ 8 ივლისს სიმთვრალის გულისთვის ქუჩაში დაპატიმრებულ აქნა პოდპორ. მარგიანაძე. როდესაც ის მიიყვანეს თფილისის დამცველ შტაბში, მან იქ ასტეხა ჩხუბი ამის გამო, როგორც ზნეობრივად არა საიმედო პიროვნება, იგიც დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და სამხედრო ფორმის ტარების უფლებაც წაერთვა.

◆ **წარმოდგენა.** 14 მკათათვეს აჟალის აუდიტორიაში ქართულ სც. მოყვარეთა მიერ მსახიობ პავ. ფრანგიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“ დასაწყისსაღამოს 8 ნახ. საათ.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, 14 ივლისს, „მუშტაიდში“ გაიმართება დიდი სეირნობა. საღამოთი დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. დღეს „მუშტაიდში“ გაიხსნება სეზონი საბავშვო წარმოდგენებისა. „თეატრ მინიატიურის“ არტისტთა ხელმძღვანელობით. წარმოდგენები ქართულადაც იმართება.

— დღეს, 14 ივლის, საექიმო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება.

— დღეს დილის 10 საათზე შესდგება ნავთლუღის ამხ. პარტიული კრება. ამხანაგებს თხოვენ აუცილებლათ დაესწრონ. ბინა ნავთლუღ. სადგურის უკან,

— პროფესიონალური კავშირი მკერვალებისა აცხადებს: ლექცია, რომელიც უნდა წაკითხულიყო კვირას 7 ივლის 10 საათზე პლეხანოვის შესახებ გადაიდო 14, ივლისისათვის. მის მაგივრად იქნება წაკითხული ლექცია შემდეგ თემაზე: „რა როლი უნდა ითამაშოს პროფესიონალურმა კავშირმა რევოლიუციის დროს“. ლექციას წაიკითხავს მიხ. ცხაკაია. ფასები 2 მ. 50 კ.

## პროვინციის ქრონიკა

**ქვიშხეთი.** უპასუხისმგებლო პირები ხმებს ავრცელებენ მთავრობას ძალა არ აქვს და შესაძლებელია მისი ჩამოგდება და რუსეთთან შეერთებაო. სოფლის შეგნებულ ნაწილს ეს არ სჯერა, მაგრამ ადმინისტრაციის სისუსტის გამო ნაძირალები აულაგმავი რჩებიან.

**ხაშური.** ხაშურში და სურამში ხოლერა და სახადი მძვინვარესს. ხაშურში 50 მეტი ავათმყოფია. სურამში ავათმყოფთა რიცხვი გამორკვეული არაა, რადგან ავათმყოფ ლტოლვილებს მალვენ სომხების ნაწილში. მოსალოდნელია ამ სენის გავრცელება, თუ დროზე არ მიაქციეს ყურადღება.

**ხიდისთავი** (გურია). გუბერნიის კომისარის განკარგულებით ხიდისთავში დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს ადგილობრივი ბოლშევიკების ხელმძღვანელი ვარდენ კალანდაძე.

## ეს არის თავისუფლება!?*)

„ვაი რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიმჩნიესო,
მაცხონებელი შენ მათი
წარწყმედას მიგიმჩნიესო!“
დ. გურამიშვილი.

სანამ ფრონტიდან გაბოლშევიკებული—გახულიგანებული ჯარისკაცები არ დაბრუნდენ, მანამ ქართლის სოფლებში რევოლიუციონური წესრიგი არ დარღვეულა; გლეხები მშვიდათ განაგრძობდენ მუშაობას, უქმე-დღეებში შეგნებულ პირებს უსმენდენ, არ ჩქარობდენ. თავისებურათ და ძალ-მოჰრეობით არაფერს სწყვეტდენ, მათ მიერ არჩეულ კომიტეტს ენდობოდენ, ემზადებოდენ დამფუძნებელი კრებისათვის. „მოვიდა სოსომეხი, მოიტანა სხვა მეხიო“, რომ იტყვიან, ისე მოხდა—სოფელს დაუბრუნდენ დიდი ხნის ნატრული ჯარისკაცები და ყველაფერი აირ-დაირია... სახლების დაწვა, კაცის კვლა, ძალმომრეობა, სხვისი ქონების მითვისება, ერთი სიტყვით, გამეფდა სრული ანარქია. ყველა ის, რაც ქართლში წელს მოხდა, არ მომხდარა არც 1905 წელს. დახოცეს, აიკლეს, დაარბიეს და სოფლიდან განდევნეს ხალხისათვის გულშემატკივარი პირებიც კი მარტო იმისათვის, რომ ისინი თავადებია. ამან საბაბი მისცა ხალხის მტრებს ბრალი დაედვათ სოციალდემოკრატებისათვის, თითქოს იმათ წააქეზებინოთ ავაზაკები—თავადები დახოცეთო. სოციალდემოკრატები რომ თავადებს ხოცავდეს და მათ ქონებას ითვისებდეს, მაშინ გურიაში ერთი თავადი არ იქნებოდა ცოცხალი და გაუნადგურებელი, მაგრამ აბა დაასახელონ ერთი მაგალითი იმისი, თუ რომელი თავადი მოკლეს ან დაარბიეს გურიაში, იმისათვის, რომ ის მემამულეა, პირიქით გურიაში წოდებრივ განსხვავებას აღარავითარი ნიადაგი აღარ აქვს. ვინც უკიდურესი ხულიგანი არ არის,

*) გ. ამირაჯიბის მიერ შექმნილი დაწესებულებები სოფ. ავლევში იღუპება. საჭიროა სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

რედ.

ყველა ერთად მუშაობს, გლეხი და მემამულე ორივე ემორჩილება მთავრობის განკარგულებას, თავისი ნებით არც ტყეს სჩეხენ და არც მამულს ეპატრონებიან და თუ ვინმე გამოერევა თავხედი, იმას თვით სოფელი სჯის.

თქვენ კი რას შვრებით ქართლელებო, ნუ თუ გეპატივებათ და შეგენდობათ ავლევიდან თავადის კოსტა ამირეჯიბის განდევნა? ეს საშვილიშვილო დანაშაულია. დ. პ. კოსტამ, ამ უმაღლესად განათლებულმა ადამიანმა, მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება ხალხს ანაცვალა, 20 წელიწადია ის თქვენთვის ილვწის: თავის ხარჯით გაგიმართათ სამაგალითო სკოლა სახელოსნო, ელექტრონით გაანათა უდაბური სოფელი, მოგიწყოთ ბანკი, კოოპერატივი, სამეურნეო საზოგადოება, თავის პირადი მაგალითით გიჩვენათ, თუ როგორ უნდა მუშაობა და ამას ანაცვალა თავისი ფეხიც კი. ნუ თუ დაივიწყეთ მისი მეუღლის ბ დების ამაგი, განა ეს პატიოსანი ადამიანები არ დადიოდნენ ქოხიდან ქოხში და ნუგეშსა და დახმარებას არ აძლევდნენ ქვრივ-ობლებს? კოსტას სკოლაში არ აღიზარდა რამოდენიმე ასი თქვენი შვილები? მითხარით ხალხნო და ჯამაათნო, რა დაგიშავათ ამ კაცმა, რა გიყო თქვენ მან სიკეთის მეტი. ნუ თუ ის ახლა თავის შვილ მოსწავლებლით ისევ თქვენთან არ უნდა იყოს. რათ დაბრმავდით ასე. სკოლას საცა არ იყო იქ ხსნიან და თქვენ მზა-მზარეული ყველაფრით მოწყობილი სკოლა უნდა დახუროთ. ვაი ჩვენი ბრალი. ვაი მას, ვინც თქვენ ცოდვაში ჩადგა და ეს სამარცხვინო საქმე გირჩიათ. თქვენ თქვენის ხელით ყელებს სჭრით თქვენს შვილებს. დაფიქრდით და ვიდრე გვიანი არ არის, თქვენი შეცდომა შეინანიეთ, ეახელით ბ. კოსტას და სთხოვეთ ისევ დაბრუნდეს და განაგრძოს თავის მიერ დაწყებული სასახელო თქვენი სასარგებლო საქმე. დარწმუნდით, კოსტას რომ სხვა ადგილას გაეკეთებინა იმისი ნახევარი სახალხო საქმე, რაც თქვენში გააკეთა, იმის მზეს ილოცავდენ, თქვენ კი უმადურობა გამოიჩინეთ. „თქვენი მაცხოვნებელი წამწყმედათ მიიჩნიეთ“.

გურული.

## გ. ვ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო

### გიორგი პლეხანოვის ხსოვნას.

გიორგი ვალენტინის ძის პლეხანოვის პირით რუსეთის პროლეტარიატმა დაჰკარგა საუკეთესო დამცველი სოციალისტური იდეალებისა. იგი სიყრმიდან სიკვდილამდე შეუპოვრად ებრძოდა თვითმპყრობელობას, იცავდა მუშათა კლასის ინტერესებს და აფრიალებდა ინტერნაციონალურ დროშას, რომლისთვისაც მან ბევრი ტანჯვა და წამება აიტანა მეფის ჯალათებისაგან. გიორგი პლეხანოვი პირველი მერცხალი იყო რუსეთის მუშათა კლასის გამოფხიზლების, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა დაქსაქსულ მუშათა კლასის შეერთებას და განვითარებას; მან პირველმა გააშუქა მარქსის მოძღვრება რუსეთის დაბეჩავებულ კლასში. ასეთი ადამიანის დაკარგვა დიდს მწუხარებას იწვევს მთელს მუშათა კლასის გულში, ეს დიდი დანაკლისია როგორც რუსეთის, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიისთვის.

ივანე ცქიტიშვილი.

**ს. იანეთი.** იანეთის ს.-დ. ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ჩვენი პარტიის დამაარსებელის და საუკეთესო ხელმძღვანელის გ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო.

ორგან. მონდობილობით ბ. გელაშანია.

**ს. კულაში.** ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს დიდი მასწავლებლის გ. ვ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო.

თავმჯდომარე ს. ნიკურაძე.

**დ. ჩოხატაურის** ს.-დ. კოლექტივი მწუხარებას გამოსთქვამს რუსეთის სოციალიზმის მამათ-მთავრის გ. ვ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო.

კოლექტივი.

**ს. ტობანიერის** ს.-დ. კოლექტივი სწუხს გ. ვ. პლეხანოვის დაკარგვას.

მდივანი ს. რამიშვილი.

**ახალ სენაკის** მფრინავი რაზმის ჯარის კაცნი ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშ. პარტიის დამაარსებელის, მუშათა კლასის სიამაყის, ძვირფასი მასწავლებლის გიორგი ვ. პლეხანოვის დაკარგვის გამო:

ამხ. მონდობილებით ტრიფონ ბასილაია.

**თელავის** ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია შეწუხებულია ძვირფასი მასწავლებლის და მთელი რ. ს.-დ. მ. პარტიის იდეიური ხელმძღვანელის გ. ვ. პლეხანოვის სიკვდილით. აუნაზღაურებელია აგრეთვე კავკასიის სოციალ დემოკრატიისთვისაც ასეთი დიდი მოაზროვნის და მარქსისტული იდეალებისთვის მებრძოლის სოციალისტის დაკარგვა.

თელავის კომიტეტი ს.-დ. პარტიისა.

**ს. ქუხის** ს.-დ. კოლექტივი გლოვობს მარქსიზმის მტკიცე დარაჯის გიორგი პლეხანოვის დაკარგვას. იგი მოკვდა ფიზიკურად, მაგრამ სულიერად მუდამ ჩვენთან იქნება. კოლექტივი.

**გუდაუთის** ამხანაგები სწუხს გ. პლეხანოვის დაკარგვას. ის წავიდა მაშინ, როცა მისი სიტყვა უფრო იყო საჭირო.

კოლექტივი.



## დათიკო ვანიძის ხსოვნას

საშინელმა ომმა მილიონობით მოითხოვა ადამიანების მსხვერპლი, აუარებელ ახალგაზრდას უდროოთ გაუთხარა სამარე, მთა და ბარი ვაჟკაცების სისხლით მორწყო და ქვეყნად საერთო ქვითინი გაამეფა; მრავალმა დედამ დაკარგა საყვარელი შვილი; მრავალი ტყვიით განგმირულ ვაჟკაცთა. სხეული შავი ყორნების და ქვეწარმავალთ საძიგნათ გადაიქცა და ამ უმანკო მსხვერპლმა ჯერ კიდევ ვერ გააძღო საერთაშორისო ბურჟუაზიის მშუნაგი მადა. საზავო მოლაპარაკების დროს ვერაგულად შემოჰრილმა ოსმალეთის ჯარმა ქ. ბათუმში გული გაუგმირა პრაპ. დათიკო ვანიძეს. ფორტი ანარია ქართველ ერის ისტორიაში დაუვიწყარია, მტერმა მხოლოდ აქ იგრძნო მამაცობა ქართველი ლაშქრისა. მხოლოდ დათიკო ვანიძემ და მასთან მყოფმა ამხანაგებმა აჩვენეს მტერს, თუ როგორ უნდა სიკვდილი თავისუფლებისათვის.

აქ ამ სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლაში მოჰკლეს დათიკო. დათიკო სულ ახალგაზრდა, 23 წლის ყმაწვილი იყო, 1917 წელს დაასრულა პრაპორშჩიკის შკოლა და ბევრ ადგილას მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა; ის მეტად მხნე და გულადი იყო; ვერ ნახავ მის ნაცნობს რომ მასზე კარგი აზრის არ იყოს და ოხვრით არ იხსენიებდეს.

31 მარტი სევდის და მწუხარების დღეა; ამ დღეს დაჰკარგა საქართველომ საუკეთესო მებრძოლი შვილები. დათიკოს ტყვიით განგმირული სხეული ჯერ ოსმალებმა დაასაფლავეს იქვე და მერმე მისმა ამხანაგებმა გამოიტანეს, რის შემდეგ მისმა დედამ მიაბარა სამარეს სოფ. შემოქმედში. დღეს, 14 ივლისს უკანასკნელად ეთხოვება დათიკოს საფლავს მისი ნათესავები და მეგობრები და მის ობოლ საფლავს ცხარე ცრემლებს აფრქვევენ. მშვიდობით ძმაო დათიკო, განისვენე იქ, სადაც შენებრ გმირები განისვენებენ. დეე, შენი უმანკო სისხლი თავდები იყოს ხალხის გამარჯვების.

მებრძოლი.

## თფილისში მცხოვრებ მეგრელთა ყრილობის გამო

დღეს 14 ივლისს ზუბალაშვილის სახალხო სახლში დილის 10 საათზე დანიშნულია თფილისში მცხოვრებ მეგრელთა საზოგადო ყრილობა, მიზანი ამ ყრილობისა არის „სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის“ დაარსება. ვინ არ იცის, თუ რამდენაირი გასაჭირი ადგია დღეს განსაკუთრებით სამეგრელოს, საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად, საჭიროა ამ კუთხის საჭირ-ბოროტო საკითხებზე იზრუნოს ერთ და იმავე დროს სამშობლო სოფლიდან გასულმა პირებმა; გონებრივ დახმარებას ითხოვს დღეს სამეგრელო და აგრეთვე სოხუმის ოლქში მცხოვრები მეგრელებიც; ვისაც უყვარს მშობელი დედა, ვისაც არ უნდა სამშობლოს დაღუპვა, მან დღეს უნდა გამოიჩინოს მოქალაქობრივი გამჭრიახობა და ვის რითაც შეუძლიან დაგვეხმაროს „სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის“ დაარსებაში და მტკიცე ნიადაგზე დამყარებაში.

არჩეული კომიტეტი იმავე საათში შეუდგება ერთ დროულ შემოწირულების მიღებას. იმედია თფილისში მცხოვრები მეგრელები დიდის ხალისით დაესწრებიან ამ კრებას.

საინიციატივო ჯგუფი.

## ჩვენი ტყვეები ტრაპიზონში

ამ დღეებში მეხუთე ქართული პოლკის ექიმმა ვლ. ჩირგაძემ განცხადება წარუდგინა სამხედრო მინისტრს, რომელშიაც აწერილია ჩვენი სამხედრო ტყვეების მდგომარეობა ქ. ტრაპიზონში.

იმის გასაცნობათ, თუ რა ტანჯვა-წვალებას განიცდიდენ და განიცდიან ჩვენი ტყვეები ოსმალების ხელში, მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებს ამ განცხადებიდან.

„ჩვენ ტყვეთ წაგვიყვანეს—სწერს ექიმი ჩირგაძე—დ. მაკრიალში, (ბათუმიდან 22 ვერსტითაა მოშორებული). ვიყავით 138 ჯარისკაცი და 14 აფიცერი. წინასწარ ასკერებსა და „ჩეტნიკებმა“ ალყა შემოგვარტყეს. საარტილერიო და თოფების ხანგრძლივი სროლის შემდეგ წაგვიყვანეს ტყვეთ. მოგვიკლეს 8 კაცი, დაგვიჭრეს 12. ყველა აფიცრები და ჯარისკაცები გაძარცვეს. დახვრეტის მუქარით გაგვხადეს წაღები, ტანისამოსი, შარვლებიც კი. ასე ტიტველ-მშიერნი იმავე ღამეს გაგვრეკეს დ. ხოფაში, სადაც სამი დღე გვამყოფეს ასეთ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში. საჭმელს ცოტას გვაძლევდენ, მაგრამ გვაიმედებდენ—ტრაპიზონში გაგზავნით სადაც უკეთ იცხოვრებთო. ვინაიდან ზღვით გაგზავნის საშვალება მათ არ მოეპოვებოდა, ტრაპიზონში გაგვრეკეს ქვეითად. ჩვენი გაჭირვება გზაში აუწერელია. ბევრი აფიცრები და ჯარისკაცები ფეხ-შიშველნი იყვნენ, უფარაჯოთ „ტუჟურკაც“ კი არ ჰქონდათ. სიცივეები იყო. განსაკუთრებით ვიტანჯებოდით სიცივისაგან ღამით. მეტად ცუდი დღე დაადგა ავათმყოფებს და დასუსტებულთ. მეხუთე დღეს მიგვიყვანეს ტრაპიზონში. აფიცრები გამოგვყვეს ჯარისკაცებისაგან და მოგვათავსეს ცალკე. დაგვიწესეს სასტიკი რეჟიმი. სასეირნოთ არ გვიშვებდენ. ოთახი ცივი იყო, საკვებს ცოტას და უვარგისს გვაძლევდენ, ყველანი იატაკზე ვეყარეთ. ყველა აფიცრები ავათ გახდა. მათ შორის მეც. ერთი მოხელე, საველე საფ. კანტ. გამგე პოპოვი საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა არც ერთი ოსმ. აფიცერი ჩვენთან არ შემოსულა, გარდა ერთი ლაზი ექიმისა, რომელიც თანაგრძნობას გვიცხადებდა, მაგრამ გულწრფელად ამბობდა, რომ არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შემიძლია, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა არ იზიარებს ჩემს კაცთმოყვარულ გრძნობებსო. ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წაგვიყვანეს აბანოში და გვაბანავეს საცვლების გამოუცვლელად. მგზნარები და ჰუჭყი სიცოცხლეს გვიწამლავდა. მესამე დღეს გავიგეთ, რომ ჩვენი ტყვე ჯარისკაცები სამუშაოზე გაერეკათ. დილაობით მათ ჩვენი საკანის ფანჯრების წინ ატარებდენ, ფეხშიშველთ, ტიტველთ. ჯარისკაცები ქუჩიდან გვეუბნებოდენ, რომ მათ სცემენ და აიძულებენ დიდი სამუშაოს შესრულებას. ასეთი მდგომარეობა ჩვენი გაგრძელდა 17 აპრილამდე ამ დღეს მოვიდა ჩვენთან აფიცერი ვეხიბ-ფაშას მიერ გამოგზავნილი, რომ გაეგო ჩვენი საჭიროებანი. ჩვენ აუწერეთ საქმის ვითარება. ორი სიათის შემდეგ მოვიდა პირადი ადიუტანტი ვეხიბ-ფაშასი, ოფიციალურად ბოდიში მოიხადა, არ ვიცოდით თუ აგრე გეპყრობოდენო და სხ. იმავე დღეს ჩვენ გაგვანთავისუფლეს. ერთი თვის განმავლობაში ეს იყო ერთად-ერთი თავისუფალი გასეირნება. სისუსტისაგან ძლივს დავდიოდით. ჩემთან მოვიდნენ ოსმალეთის ჯარის სანიტარული ნაწილის ექიმები და მიმიპატიჟეს თავიანთ უფროსთან. უფროსმა დარწმუნდა რა, რომ მე მართლა ექიმი ვარ, აღმითქვა, რომ დამნიშნავდა სამხედრო ტყვეებში ექიმად. მეორე დღეს თვით ვეხიბ-ფაშამ მიგვიწვია მე და კაპიტანი იბანოიძე თავისთან და ყველაფერი გამოგვკითხა. ჩვენც ყველაფერი ვუამბეთ, თუ რა ტანჯვასა და უბედურებას განიცდიდენ ჩვენი ტყვეები. იგი თითქოს გულწრფელად აღელდა და აღგვითქვა ყველაფერში დახმარება. მალე ყველა აფიცრები გაგზავნეს ბათუმში, მე კი წინადადება მომცეს, რომ დავრჩენილიყავი და მემუშავა ჩვენივე ტყვე სალდათებში, რაშიც კარგ გასამრჯელოს მპირდებოდენ. მომცეს ერთი პატარა ოთახი ლაზარეთში, თითქო ქალაქში სეირნობის უფლებაც მიმანიჭეს, მაგრამ არსებითად არავითარი საშუალება არ მქონდა მართლა მემუშავნა ჩვენ ტყვეებში. რის დავიდარაბით მომცემდენ ხოლმე ნებას ჩვენ ტყვეებთან მოვსულიყავი. იმათი მდგომარეობა მარალა, რომ წარმოუდგენელი იყო. ყველა იყო ჰუჭყიანი, მშიერ-მწყურვალი და ტანისამოს შემოფლეწილი. ამუშავებდნენ 12 საათს, ხშირად მათრახით და თოფის კონდახის ძალით. ამიტომ ძალიან ბევრი დაავადმყოფდა. ოთხი კაცის შესახებ, რომლებიც სადღაც გაგზანეს დაავადმყოფებულნი, ვერაფერი გავიგე, ოსმალთა ლაზარეთი საკმაოდ სუფთა იყო, მაგრამ საჭმელი ავადმყოფთათვის მეტის მეტი ცუდია. ყველა ავადმყოფი მთელი დღეები თითქმის მშიერია. ხანდახან ქუჩაში ან სადმე თუ იპოვიან რამე ნაგავს გაყოლებულს უვარგისს სურსათს იმას მივარდებიან ხოლმე, როგორც მშიერი მგლები. ამით უფრო ავათ ხდებიან და ეხალმებიან წუთისოფელს. მე ყველა ამას ჩემი თვალით ვუცქეროდი, მაგრამ ვერაფრით ვერა ვშველოდი, მხოლოდ სიტყვიერად ვამედებდი. მეც არ მაძლევდენ ჯამაგირს, რომ რითიმე დავხმარებოდი ჩემს თანამემამულეებს. ასეთი მდგომარეობა იყო ივნისის 3-დე. ამის შემდეგ მათი მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა. მუშაობიდან განთავისუფლეს, მისცეს ორ-ორი ლირა თითოს და თან აიმედეს, რომ სამშობლოში გაგზავნიდენ. ამ ფულით ტყვეებმა მხოლოდ საჭმელი შეიძინეს. მაგრამ აქამდე მათი მდგომარეობა მაინც საშინელი რჩება: ელიან მოუთმენლად სამშობლოში წამოსვლას. ოსმალები ამდენი ხნით დაყოვნებას იმით ასაბუთებენ, რომ გადასახადი საშუალებები ცოტა გვაქვსო.

28 მაისს, როცა საბოლოოთ დავრწმუნდი, რომ მათ ჯერ არ გამოაგზავნიდენ, მე წამოვედი ბათუმში ოსმალთა ტრანსპორტთან ერთათ. ტყვეებმა თვალცრემლიანებმა გამომაცილეს მუდარით და ხვეწნით, რომ მათ მწარე ბედზე სამშობლოდან მაინც მეზრუნა.

მოგახსენებთ რა ყველა ამას, ბ-ნო ჩვენო სამხედრო მინისტრო, გთხოვთ საჩქაროთ მიიღოთ ზომები, რომ ჩვენი ტყვეები ეხლავე დაბრუნებულ იქნან ტრაპიზონიდან სამშობლოში, და აგრეთვე აღმოუჩინოთ მათ მატერიალური დახმარება. ისინი უმთავრესათ საჭიროებენ საცვლებს, ტანისამოსს და ფეხსაცმელებს. ალბათ ათიოდე კაცი დარჩება იქ ლაზარეთში დაავადმყოფებული უფულოთ, უსაჭმლოთ და უარარაოთ. ზოგიერთი მათგანი მე მოვახერხე უზრუნველმეყო შაქრითა და მცირე ფულით. მე, ცოცხალ მოწმეს ამ საზარელი ყოფა-ცხოვრებისა ჩვენი ტყვეებისას, იმედი მაქვს, რომ ჩვენი განახლებული და ახალგაზრდა სამშობლო — რესპუბლიკა გაუწოდებს მათ დახმარების ხელს, როგორც ტკბილათ მოყვარული დედა თავის უბედურ შვილებს“.

## წითელ გვარდიას

სალამი და დღეგრძელობა
ყველა გვარდიელებს,
შეუპოვარს ჩემს შევარდნებს,
ჩემს მფრინავ რაზმელებს!

მშვიდობა და განსვენება
გარდაცვლილთ სახელებს,
სიკვდილამდე თოფით ხელში
რესპუბლიკის მცველებს!

დიდება და ქება-ქება
დროშა-დაუხრელებს,
თავისუფლების დარაჯებს,
მტერთა შიშის მგვრელებს!

სიკვდილი და დამარცხება
ყველა შავ-რაზმელებს;
სიცოცხლე და გამარჯვება
წითელ გვარდიელებს!

გ. ქუჩიშვილი.

## ერობის გარშემო

ძველი, ბიუროკრატიულ წყობილება შესცვალა ახალმა დემოკრატიულმა, რომელმაც მიზნად დაისახა ყველა იმ რეფორმების ცხოვრებაში გატარება, რომელიც რევოლიუციონურმა მოძრაობამ წამოაყენა. მმართველობის პოლიტიკურ სახის შეცვლამ ვერ შესტვალა ეკონომიური მდგომარეობა დემოკრატიისა, იგი თითქმის უფრო გაუარესდა. მაგრამ ამაში ბრალი უდევს არა დემოკრატიას და მის ხელმძღვანელებს, არამედ—მთელი ქვეყნის დამღუპველ ომს და რუსეთის მწარე სინამდვილეს. მაგრამ ვინც ან რაც უნდა იყოს მიზეზი ამისა, ჩვენი მოვალეობაა ნორჩ რესპუბლიკაში შევქნათ ისეთი დემოკრატიული ორგანოები, რომლებიც მის ეკონომიურს და კულტურულ ზრდა-განვითარებას გზას გაუხსნიან, რაც სრული თავდებია დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა. დღეს ამ მხრივ ნაბიჯები უკვე გადადგმულია, ჩვენში დემოკრატიული ერობა შემოდის, არჩევნები გაზეთების ცნობით ტფილისის და ქუთ. გუბერნიებში უკვე დაწყებულია. თუმც ძნელია დღევანდელ პირობებში მუშაობა, როცა ანარქია მძვინვარებს, მაგრამ მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა გადავეშვათ ამ მუშაობაში, ესაა მომენტის მოთხოვნილება. ჩვენდა სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მუშაობისათვის ჩვენ ვერ ვართ საკმაოდ მომზადებულნი. ამგვარი მუშაობა ჩვენი დემოკრატიისათვის ახალი ხილია, იგი ამ მუშაობას ჩამოშორებული იყო. ერობა ჩვენში დღემდე არ იყო და ეს გვაყენებს უხერხულ მდგომარეობაში; ის თითო ოროლა ამხანაგი, რომელიც მუნიციპალურ კითხვებს იცნობს უკვე სხვადასხვა ორგანიზაციებშია ჩაბმული. ამ გარემოებას მიაქცია ქალაქთა კავშირმა ყურადღება და მოაწყო ორი კვირის კურსები მუნიციპალურ კითხვებზე, რომელსაც სამწუხაროდ 15-მდე მსმენელი ესწრება. ასეთი მოკლევადიანი კურსები ვერაფერს მოგვცემს, რადგანაც საერობო და საქალაქო თვითმართველობათა კითხვების საფუძვლიანათ შესწავლა ასეთ მოკლე დროში წარმოუდგენელია, მით უფრო აქ სპეციალური საგნებიცაა საჭირო. ამიტომ აუცილებელია, მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება. ეხლავე საჭიროა ყველა იმ პირთა მოწვევა, რომლებიც დაახლოვებულნი არიან ამ საკითხებთან. ასეთი პირები ჩვენში მოიპოვებიან. უნდა შეიქნეს მთელი კადრი გამოცდილი ინსტრუქტორებისა, რომლებიც თავიანთი ცოდნა-გამოცდილებით დახმარებას გაუწევენ სოფლის და ქალაქის თვითმართველობებს. ამ გარემოებას უნდა საჩქაროდ მიექცეს ყურადღება, ამას მოით ხოვს დემოკრატიული საქმის ინტერესი.

დონი.

## ნახული და გაგონილი
### (თფილისიდან—დუშეთამდე)

I

დუშეთის მაზრაში ანარქიულ გამოსვლების ჩასაქრობათ თფილისიდან გამგზავრებული საქართველოს რესპუბლიკის ჯარი და სახალხო გვარდია, პირველ დღეს დილომის მინდორზე, ავჭალის გასწვრივ დაბანაკდა, ღამე აქ გაათია და მეორე დღეს უკვე გავემგზავრენით დუშეთის მიმართულებით.

სამხედრო ოპერაციები მცხეთიდან დაიწყო. მცხეთიდან რამდენიმე მანძილზე მდგომი ბებრის ციხე, სადაც ჩვენი მოწინაამდეგენი იყვნენ გამაგრებულნი, ჩვენმა არტილერიამ ამავ საღამოსვე აიღო. გზა აჰნეულ მტერს ყველაფერი მიეტოვებია და თავისთვის გაქცევით ეშველა.

ჩვენი მძიმე არტილერიის ტყვიის გრიალმა მთა და ბარი შესძრა, ხმა ერთი გორიდან მეორეს ეხეთქებოდა და ღრიალ-ქშუილით ხევ-ხუვში იფანტებოდა.

ბებრის ციხის აღების შემდეგ ჩვენი რაზმი სამ ნაწილათ გაიყო: აქედან მარცხნივ, მუხრან-წილკანის ხაზით გაემგზავრა ვ. ჯუღელის რაზმი; შუაში—მდ. არაგვის მარცხნივ—საქართველოს სამხედრო გზით—პოლკ. კონიაშვილი, ხოლო არაგვის მარჯვნივ—ფურცელაძის რაზმი მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიელთა თანხლებით.

არ. ფურცელაძის და კონიაშვილის რაზმები ერთმანეთს ფეხდა-ფეხ მისდევდენ ერთი არაგვის გამოღმა მეორე გაღმა ჩვენ ვხედავდით კიდეც ერთი-მეორეს. კავშირიც გვქონდა. ჯუღელის რაზმი ერთი მთის იქით იყო მოფარებული, მაგრამ მისი ზარბაზნის გრიალი ჩვენ გვატყობინებდა მის მდგომარეობას და მოქმედების ხაზს. არ. ფურცელაძის რაზმს, სადაც ჩვენი მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიაც იყო, პირველათ შეხვდა სოფელი წიწამური. სოფელში რომ იტყვიან, ძაღლიც კი არ დაგვხდაო, სწორეთ ისე იყო. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა: სად წავიდა ეს ხალხი, ბებერი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი;—ვფიქრობდით ჩვენ—რათ ეშინიათ მათ ჩვენი? ჩვენ იქ ერთ ბებერს მოვკარით თვალი; მივმართეთ: სად წავიდა სოფლის ხალხი—თქო, მან აცრემლებულმა გვიპასუხა: რა ვიცი, შვილებო, გვითხრეს თათრები მოდიანო და ჩვენებიც შეშინდენ და ტყეში დაიმალნენო. ამ გვარმა პასუხმა გული კიდევ უფრო მოგვიკლა ამ მოხუცებულთან ერთად გავგზავნეთ რამდენიმე რაზმელი და მთელი სოფლის მცხოვრებნი ტყიდან ჩამოვიყვანეთ, ავუხსენით ჩვენ ვინცა ვართ; უთხარით, რომ ჩვენ მთავრობის ჯარი ვართ, მაგრამ მათ ამაზე ასე გვითხრეს: მაშ, რათ გვეუბნებიან, რომ ისინი თავადების და მემამულეების მოსყიდულები არიანო!—რა თქმა უნდა, ამაზე ჩვენ შესაფერისი ახსნა-განმარტება მივეცით.

თუ რამდანათ მოუზხამავთ სოფლის ხალხი პროვოკატორებს, ეს შემდეგიდანაც აშკარათ სჩანს: როცა ჩვენი რაზმი ჯერ კიდევ წიწამურში არ იყო შესული, ჩვენ წინ შემოგვეგება ერთი გლეხი; ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვინ იყო ის და რა უნდოდა, მან აღელვებული ხმით მოგვმართა: კაცო, ამხანაგებო, რაშია საქმე, გაგვაგებინეთ. მე სოფელმა ამომირჩია და თქვენთან გამომგზავნა, რომ გამეგო, თუ ვინა ხართ თქვენ. ჩვენ გვეუბნებიან თავადიშვილები მოდიანო, უნდათ მიწები წაგვართვან და აგვწიოკონო. ამ დროს მან ერთი სახალხო გვარდიელი იცნო, მას ხელს ართმევს. პირველ ნაცნობს მეორე მოჰყვება. გლეხს სახე უბრწყინდება, სიხარულით ვეღარაფერი მოუხერხებია: კაცო, ეს თქვენა ხართ, შენ ხომ ჩვენი სოფლიდანა ხარ, ჩვენ ხომ ერთად ავიზარდენით—ეუბნება გლეხი ჩვენ სახალხო გვადიელს—აი, წყევლა და კრულვა მათ, ვინც ჩვენ ერთიმეორეს გადაგვკიდა! მაშ ნუ თუ თქვენ მუშები ხართ? ჩვენ კი გვითხრეს: თავადიშვილები მოდიანო. არა, ძმებო, მე გატყობთ, რომ თქვენ ნამდვილი მუშები ხართ, ჩვენი კეთილის მდომნი და წავალ და ეხლავე სულყველაფერს გადავცემ ჩვენს ხალხსო.

და გლეხი საჩქაროთ გაეშურა სოფლისკენ.

წიწამურელებმა იარალი გადმოგვცეს. მეორე დღეს საგურამოდან დელეგაცია მოვიდა: იარაღს მოგართმევთო—გვეუბნებიან. ჩვენი რაზმი სწორეთ საგურამოს გზით მიემართება. ჩვენი რაზმი ამ საღამოს საგურამოს მინდორზე დაბანაკდა. მეორე დღეს დელეგაციამ დელეგაციაზე იწყო დენა: სადელეგაციო ჯოხზე ზოგს ხელსახოცი გაუკეთებია, ზოგს პერანგი და ზოგს რა. ყველას მოაქვს იარაღი. ამასთანავე გეგონებათ ფიცი მიუციათო, ყველანი ერთნაირათ გველაპარაკებიან: მართალია ჩვენს სოფელში იარაღი ამაზე მეტი იყო, რაც მოგართვანეთ. მაგრამ აი ამ [illegible] რომ გაიგეს თქვენი მოსვლა, ჩვენ [illegible], იარაღიც წაიღეს და ახალგაზრდა ჩვენი შვილებიც თან წაიყვანეს. ამასთანავე გვითხრეს: თუ ამაზე არ დათანხმდებით —დაგწვავთ, დაგხოცავთო. რა გვექნა, თქვენი ჭირიმე, ჩვენიც შეგვეშინდა...

საგურამოს მინდვრიდან ჩვენი რაზმი სოფელ ჭოპორტისკენ გაემგზავრა. ეს გზა ზედ შუა სოფელზე გადადის. მიახლოვებისთანავე ფურცელაძემ გვითხრა —მარსელიეზა გვემღერა, რაც მაშინვე შესრულებულ იქმნა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ყველა სიხარულით შემოგვყურებდა. სოფელმა გულგახსნილათ მიგვიღო. ეს უკვე წინდაწინ მოეწყო ის გლეხი, რომელიც ჩვენ წინეთ შემოგვეგება წიწამურის აქეთ—აქაური ყოფილიყო. ბევრი ნათესავ მეგობარიც აღმოჩნდა ჩვენსა და ჭოპორტელებს შორის!

— კაცო, რა ხალხი იყო მაშ ის ხალხი, რომელიც ჩვენ გვეუბნებოდა: თავადიშვილები არიანო—გაკვირვებით ეკითხებოდა თავის ამხანაგს ერთი გლეხთაგანი.

ჭოპორტს შემდეგ ხიდი უნდა გაგვევლო. გავიგეთ, რომ იქ ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ. ჩვენ ზარბაზნები გაუშვით. პასუხიც ჩქარა მივიღეთ: აგვიტეხეს იმათაც სროლა და მთელი ღამის განმავლობაში სროლა არ შეწყვეტილა. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მკაცრი იყო ჩვენი პასუხი. მეორე დილით ხიდი ავიღეთ. ხიდზე გამოსვლა გამოღმა ჩვენი მიზანი არ იყო, ვინაიდან ამ მხარეზე კონიაშვილის რაზმი მოემართებოდა, რომელმაც ამ ხიდის აღებაშიაც მონაწილეობა მიიღო. ჩვენი რაზმი თავის მიმართულებით წავიდა. და ეს უკანასკნელი სადგომი ის ადგილი იყო, საიდანაც დუშეთს ყველა ჩვენი რაზმები ერთნაირათ უყურებდა. კონიაშვილის და ჯუღელის რაზმი საქართველოს სამხედრო გზაზე ერთმანეთს შეხვდა და დუშეთს ზემოთ მარცხნივ დაბინავდა. ფურცელაძის რაზმი მდ. არაგვის მარჯვნივ იყო დაბანაკებული.

ამ მოგზაურობის დროს სამივე ხაზზე განუწყვეტელი სროლა ისმოდა. დუშეთამდის რაც კი სოფლებია, ყველამ იარაღი ჩაგვაბარა. დიდი წინააღმდეგობა არსად არ გაუწევიათ.

აქ ერთი რამ უნდა ავღნიშნო: როდესაც ჩვენ შევეკითხეთ გლეხებს—წაიკითხეთ თუ არა ჰაეროპლანიდან ჩამოყრილი ფურცლებითქო--მათ გვიპასუხეს: როგორ არა, აბა ჩვენ კი რა ვიცით წაკითხვისა, მაგრამ სხებმა გადმოგვცეს: იმ ფურცლებში ეწერაო, რომ ქალაქიდან თავადები მოდიან და არამც და არამც იარაღი არ დაანებოთო.

ჩვენი რაზმი დუშეთის ზემოთ ყაზბეგის მიმართულებით წავიდა. დუშეთიდან კი ჩვენ რამდენიმე გვარდიელი სხვა-სხვა საქმისთვის თფილისში გამოგვგზავნეს.

დაბრუნებისას ჩვენს თვალწინ გულის წარმტაცი სურათი გადაგვეშალა: მთელი გლეხობა სოფლებს დაბრუნებოდა. იყო გახუოებული მკა. გზაში ყველა გვესალმებოდა.

მიხ. თამაზაშვილი.

II.

როცა დუშეთის მაზრა გარსშემორტყმული იყო ბოლშევიკების ხულიგნურ ბრბოებით ეს ანარქია უნდა მოსდებოდა საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას, ამ დროს პარტიზანული რაზმი პოლკ. ი. გედევანიშვილის მეთაურობით გაგზავნილ იქმნა დუშეთში. პარტიზანულ რაზმს უნდა აეღო ანანური. 6 ივლისს ჩვენ მივადექით ს. ჟინვალს, გავედით არაგვის ხიდს და აქ მზვერავმა რაზმმა შეამჩნია ორი შეიარაღებული კაცი. ორივე დაიჭირეს და წარუდგინეს პოლ. გედევანიშვილს. ერთი მათგანი, როგორც აღმოჩნდა, ბოლშევიკი კომისარი ყოფილა. მათ განაცხადეს: ჩვენ გავიგეთ თქვენი მოახლოვება და ვფიქრობდით წინააღმდეგობა გაგვეწია. ამისთვის ჟინვალის მთაზე უკვე აწყობენ „პულემიოტებს“, რომ შეაფერხონ თქვენი წინსვლაო. პოლკ. გედევანიშვილის ბრძანებით გაგზავნილ იქნა მზვერავი რაზმი რომ ტყვიისმფრქვეველები წაერთმიათ. 8 კაცისაგან შემდგარმა მზვერავმა რაზმმა სამუშიას მეთაურობით ბოლშევიკებს წაართვა ორი ტყვიისმფრქვეველი და თან ჩამოიყვანეს ერთი დაჭრილი მეამბოხეთაგანი.

ჟინვალში ჩვენ შემოგვიერთდა კაპ. ფურცელაძის რაზმი ორი სამთო ზარბაზნით (ულ 100 კაცი) და იმავე დღეს ჩვენ გავემგზავრეთ ანანურისკენ. პოლკ. გედევანიშვილი გაუძღვა წინ მზვერავ რაზმს, მე კი მიბრძანა ბატალიონი ნელნელა წამეყვანა. მიუახლოვდით თუ არა ანანურს, მტრის მოწინავე რაზმმა აგვიტეხა სროლა. მაშინვე მზვერავი რაზმი შეიჭრა ტყეში. პირველი ასეული პრ. დაფქვიაშვილის მეთაურობით წინ გავგზავნე. მოწინააღმდეგემ ვერ აიტანა ჩვენი რაზმის შეტევა,—დაიხია და გამაგრდა ანანურის ციხეში. ვერც ამ ციხეში იყო მათი გაჩერება ხანგრძლივი. ზარ-

ანის გავარდნისთანავე ეს ციხეც დასტოვეს, მაღლა მთაზე ავიდნენ და აქ ეს შეეფარნენ. მოწინავე რაზმმა წინ იწია.—აქაც დაუშინეს მათ ტყვიები იფებიდან, მაგრამ ზარბაზნის გასროლის შემდეგ ყველანი გაიფანტენ.

შევედით ანანურში.

ამ დროს პოდპ. სამუშია შევიდა პოლკ. დევანიშვილთან და მოახსენა, რომ ლშევიკებს ორი ზარბაზანი მიაქვთო. ოლკოვნიკმა მიბრძანა შემეკრიბა მოხალისენი და დავდევნებოდი. ჯარის კაცები ერთმანეთს ეცილებოდენ წასვლას. 17-მდე პარტიზანელი, ფურგუნითა ორი ტყვიის მფრქვეველით გავუდევით ფასანაურის გზით.

გავიარეთ 9 ვერსი და ცხენებიც დაგელალა, მაგრამ საბედნიეროთ შეგვხვდა ფურგონები და დროებით იმათ შეუცალეთ ცხენები. წავედით წინ, მაგრამ აქაც ჩასაფრებულმა ბალშევიკებმა სროლა აგვიტეხეს. ჩვენ, რასაკვირველია, პასუხი გავეცით მათ და ისინიც გაიქცენ. 5 ვერსის გავლის შემდეგ ჩვენმა მოწინავე ნაწილმა შეამჩნია ზარბაზნები, რომლებსაც 20 კაცი მიყვებოდა. კორნ. გაბუნია, პრ. ჯგამაია და პორ. სარსანია პირველი მივარდნენ ზარბაზნებთან. მოწინაალმდეგემ სროლა აუტეხა ჩვენებს და დახჭრეს გაბუნია. ჩვენმა მისვლამ მათ შიშის ზარი დასცა და გაიქცენ ტყეში. წამოვიღეთ შნეიდერის სისტემის ორი ზარბაზანი და მთელი ფურგონი [illegible]

ჯარისათვის, ტყვია გარშემო წვიმასავით მოდიოდა, ზარბაზნებსაც ისროდენ, მაგრამ ჩვენ იერავითარი ზარალი ვერ მოგვაყენეს. ჩვენებმა რამდენჯერმე ესროლეს ზარბაზანი და ისინიც გაიქცენ.

აღსანიშნავია, რომ თვით გლეხები სრულიად უარყოფით უყურებენ მათ მოქმედებას. ბევრი სოფლებიდან თოფები თვითონ გლეხებმა მოგვიტანეს. „დაგვღუპეს, ბატონო, მოგვატყუეს, მთავრობა მდიდრების დამცველიაო", ა'ე ამბობდენ გლეხები. ყველგან „გაუმარჯოს საქართველოს" ყვირილითა და სიხარულით გვხვდებოდენ.

სიოცარია პარტიზანულ რაზმის სიმამაცე. თქვენ აქ დაინახავთ ქალარა კაცს, რომელიც თავგანწირვით, მედგრათ იბრძვის იმ რწმენით, რომ ქვეყანა ანარქიასა და დაღუპვას გადაარჩინოს.

მაგრამ აქ არის კიდევ მეორე მიზეზი მათი სიმამაცის. ძველი სალდათი ომობდა, მაგრამ ეს იყო ძალდატანებით, ზევიდან. დღეს კი სხვა გარემოებაა, თუ ომობს ჯარისკაცი, ის დარწმუნებულია, რომ სამშობლო განსაცდელშია და მართლაც არ ზოგავს თავს. მაგრამ აქ დიდ როლს თამაშობს მეთაურიც. პარტიზანული რაზმი თუ ომობს თავგანწირულად, ეს უნდა მიეწეროს წინამძღოლის მხნე, მამაც და დაუღალავ ბრძოლას. უფროსის ერთგული მოქმედება ყოველ პარტიზანელში სრულ ნდობას აღვივებს [illegible]

## ბოლშევიკების შემოსევა რაჭაში

[illegible]

მდგომარეობაში და გაპარვა დააპირეს. ასეც მოხდა. რადგან პარასკევს ონში იარმუკობა იცაან. ამ დღეს აღარავინ შევიდა ონში თითო ოროლას მეტი. ამათ თავისებურათ ესაუბრა საშა გეგეჭკორი და საღამო ჟამზე კავკავისაკენ გაუდგა გზას თავისი რაზმით. ასე, რომ ხუთი ექვსი კაცი მიემხრო რაჭველები, ისიც ზოგი ნატრუკი ლი და ზოგი ნაციმბირალი. თავისაგან გამოცხადებულ კონტრიბუციის აღება თუმცა სულ ვერ მოასწრო, მაგრამ ამბობენ ონის ვაჭრებიდან 50 ათასი მაინც გაიკრეს და ესეც დიდი სასჯელია ონის ვაჭრებისათვის...

მათ თავისი კაცი დასტოვეს ონში და სთქვეს: „ჩვენ დაბრუნებამდი ასე იყავითო", მაგრამ მათი წასვლის შემდეგ ძველი მეთაურები დაბრუნდენ და თავ თავისი ადგილი დაიკავეს. რაჭველებს დიდი შიში აქვთ ბალშევიკების შემოსევისა მამისონის უღელტეხილით რადგანაც ეს გზა სრულიად უპატრონოთ არის თავმინებებული. რაჭაში მობალშევიკე ჯარისკაცებისაგან ხალხი მოიწამლა, რადგანაც ყველა დააჯერეს, რომ „წითელი გვარდიელები თავადების მოსყიდულები არიანო". ასეთი აზრის გავრცელების წინააღმდეგ ძლიერ ვიბრძოდით და დიდი უსიამოვნებაც დაგვატყდა. თუ ოდესმე ჩვენს აზრსა და სიტყვას ანგარიშს უწევდენ და აფასებდენ სოფლელები, ზოგიერთ ხულიგან- [illegible]

## ადერბეიჯანის გზით

[illegible]

რა მწარე ირონიაა!.

გუშინ თავისუფალი, ჩვენს საერთო რესპუბლიკაში მყოფი მუსულმანობა, რომლის გლეხობას ის—ის იყო მიწა უნდა მიეღო, როგორც ბრწყინვალე რევოლიუციის ნაყოფი... დღეს მისივე შეუგნებლობით და უვიცობით „განთავისუფლებული" მისი დამმონებელთა მიერ მოქცეულია შავი რეაქციის რკალში... მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი ეს დროებითი და წარმავალია. არაფერი არაა სამუდამო... ბოლოს იმარჯვებს სიმართლე და ხალხის უფლება... და იმედი გვაქვს, რომ მუსულმანი და ყველა სხვა ერის სოციალისტების მედგარი ბრძოლით ამ უბედური ქვეყნის დემოკრატია ისევ აღზდგება, თავისუფლების განათლების შუქით გაბრწყინვებული ყველა ერის დემოკრატიის სასიხარულოდ და საზეიმოთ...

ა. მ.

## ოსეთში

7 ივლისს დემოკრატიულ კლუბში მოხდა ოს მუშების კრება, რომელზედაც დაესწრო 50 მუშა. თავმჯდომარეთ ამოირჩიეს გ. გაგლოევი, რომელმაც მიმართა მუშებს: იმ დროს როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ათასი მტერი გამოუჩნდა, როცა ყველა ნაციონალისტი მას ებრძვის და ხელს უშლის რათა გამაგრდეს და გამტკიცდეს, იმ დროს როცა ოსების ეროვნულმა ყრილობებმა და საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის შესახებ ჯერ უკანასკნელი გადაწყვეტილება არ გამოიტანეს, ოსი მუშები მოვალენი არიან მტკიცე აზრი შექმნან თავიანთ შორის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის აუცილებლობაზე და თავიანთი აზრი გაიყვანონ სოფელშიაც. ბალშევიკი მუშები მომხრენი იყვნენ სამხრეთ ოსეთთან შეერთებისა. კამათი გადაიდო ა. ფარნიევის წინადადებით კვირისთვის. ამავე კრებაზე გამოსთქვეს სურვილი დაარსდეს სახალხო უნივერსიტეტში ოსური სექცია, ამიტომ ამოარჩიეს ხელმძღვანელი ორგანო, რომელშიაც შედიან: გ. გაგლოევი, მ. მარგიევი, კ. ძებისოვი, დ. მარგიევი და ზ. აიდაროვი. სახალხო უნივერსიტეტში მსმენელებად ჩასაწერად და მათი მოსაწვევათ ამოარჩიეს ცალკე კომისია 6 კაცისაგან: მ. მარგიევი—რკინის გზის მატერიალურ საწყობიდან, პ. ფარასტაევი—რკინის გზის მოსამსახურეებიდან, დ. მარგიევი—დეპო-ტრამვაიდან, ნ. ხოდელი—დეპო-პარკიდან, კ. ძებისოვი—ტრამ. ვატმან-კონდუქტორ., რ. ჯიგკაევისა—ქალაქ. მუშა ქალებისაგან. ლექციები მოეწყობა დემოკ. კლუბში მუშტაიდში კვირაში ერთხელ. 14 ივლისს დანიშნულია საერთო კრება ოსმუშებისა დილის 8 საათზე—დემოკრატიულ კლუბში. ხელმძღვანელი ორგანო სთხოვს მუშებს ყველა დაესწროს.

გიორგი.

## ჯარის-კაცთა წერილები

ქ. ფოთი. აქ არსებობს მესამე ქართული პოლკი, რომელიც შესდგება უმეტეს ნაწილად ძველი გაწვრთნილი ჯარისკაცებისაგან. ეს დისციპლინის პოლკი არის. რაიც მტკიცდება მის მოქმედებისაგან ყველგან პოლკების დიდი ნაწილი „პოგრომებს" ახდენდენ, არ ემორჩილებოდენ დემოკრატიულ მთავრობას. რასაც მოჰყვა პოლკების დაშლა. და თუ ეს ფოთში არ მომხდარა, დიდი მადლობის ღირსია მესამე ქართული პოლკის აფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც პირნათლად ასრულებდენ თავის მოვალეობას სამშობლოს და თავისუფლების წინაშე. ჩვენმა პოლკმა თანახმად ჩვენი მთავრობის მოწოდებისა დიდი სამსახური გაუწია სხვა დაბა ქალაქებსაც. მაგალითად პოლკის ნაწილებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს სენაკის მაზრაში ეგრედ წოდებულ „ბოლშევიკურ" ბრბოს წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც გაჰფანტა ეს „ბანდა" და მით უზრუნველჰყო ადგილობრივი მცხოვრებლები. 18 ივნისს ჩვენი პოლკის შტაბმა ცნობა მიიღო, რომ ქ. სოხუმს ახალ მოდის სოციალისტები იკავებენო—საჩქაროთ იყო მოთხოვნილი ჯარი. ჯარისკაცებმა ყველამ ფიცი დასდო, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის თავს დასდებდენ. მართლაც მოწოდება და ასრულება ერთი იყო. საუკეთესო გაწვრთნილი ჯარი, რიცხვით 400 კაცი, იმ საღამოს სოხუმისკენ გაიგზავრა. მესამე პოლკის ჯარი, რომელსაც კაპიტანი ჭკადუა ხელმძღვანელობს, მეორე დღეს მივიდა სოხუმში გენ. მაზნიაშვილის განკარგულებაში და მოქმედებასაც შეუდგა. სახალხო გვარდიის და ჩვენი პოლკის შეერთებულმა ძალებმა იერიშით მივიდა მტერზე. მტერი, რომელიც რიცხვით ორჯერ მეტი იყო ჩვენზე, უკუქცეულ იქნა და დიდათ დაზიანდა. დიდი სიმამაცე გამოიჩინა მესამე პოლკის 1-მა როტამ, რომელიც სულ ძველ ჯარისკაცებისაგან შესდგება და რომელსაც შტაბს-კაპიტანი

ნოდია ხელმძღვანელობდა. სამი დღის განუწყვეტელი ბრძოლის დროს ჩვენი ჯარისკაცები თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ. ჯარი დარწმუნდა, რომ მთავრობა, რომელიც ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას უდგას სათავეში არის მისი და მუშათა კლასის ინტერესების დამცველი, რომელიც არავის ნებას არ მისცემს შელახოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მედგრად იბრძოლებს მის გამტკიცებისათვის. და ჩვენც, მესამე პოლკის ჯარისკაცები ფიცსა ვსდებთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მის დასაცავათ.

უნტერ-ოფიცერი პ. სარჯველაძე.

## მუშათა შორის

**ქ. თფილისის ცენტრალური მომრიგებელი კამერა.** ეს დაწესებულება წელიწადზე მეტია, რაც არსებობს და დიდ სამსახურს უწევს რევოლიუციას ეკონომიური კითხვების მოგვარებით. ეს ორგანიზაცია, რასაკვირველია, არაა მარტო მუშების ორგანიზაცია, არიან „ხაზეინების" წარმომადგენლებიც; მაგრამ ამით მუშები ძალიან ცოტას კარგავენ, უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებულიც გამოდიან. თუ ჩვენ დავაკვირდებით ამ ხნის განმავლობაში კამერის მიერ გარჩეულ კითხვებს, დავინახავთ, რომ 90 პროც. მუშების სასარგებლოთ გადაწყვეტილა. უნდა დარწმუნდეს ყველა მშრომელი, რომ არ სცდებოდენ მათი წარმომადგენლები, გასულ წელში რომ დაჟინებით მოითხოვდენ ასეთი ორგანიზაციის შექმნას. არა ერთხელ იხსნა ამ დაწესებულებამ ქალაქი გაფიცვა-ლოკაუტებისაგან. მომრიგებელმა ცენტრალურმა კამერამ ბევრი რამ გააკეთა და ბევრი რამის გაკეთებაც შეუძლია მომავალში და ასეთ დაწესებულებას დიდი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ მუშები.

ქ. ტოფაძე.

## ხოლერის გაჩენის გამო

მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა აწეწილ-დაწეწილია ცხოვრების ყველა პირობები საზოგადოთ, მაგრამ ყველაზე უფრო საშიშ პირობებში ქალაქის სანიტარული მხარეა. ქალაქი დღეს ისეთ სურათს წარმოადგენს, თითქოს არავის არ ევალებოდეს სისუფთავის დაცვა, განსაკუთრებით ეს ქალაქის განაპირა და ღარიბი ხალხით დასახლებულ ალაგებზე ითქმის. ქუჩები და ეზოები სრულიად უსუფთაოა და ამაზე თავს არავინ იწუხებს. ყველა ქუჩებში შეხვდებით სხვადასხვა სანოვაგეებით მოვაჭრე სპეკულიანტებს, რომლებიც ანტისანიტარულ მდგომარეობაში აგდებენ ქალაქს. მდგომარეობა უშედეგოთ დიდ ხანს ვერ გასტანს, უსუფთაობა ყველა გადამდები სენის საძირკველია, მაგრამ ამ მხრით ყველაზე უფრო საშიში ხოლერა არის, რომლის ნიშნები ქალაქში უკვე გაჩნდა და რომელსაც ამ შიმშილობის დროს შეუძლია სრულ განადგურებამდე მიიყვანოს ქალაქის უფრო ღარიბი მცხოვრებნი, თუ არ მიექცა სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, დაუყონებლივ ზომები უნდა იქნას მიღებული ქალაქში სისუფთავის დასაცავათ.

ი. გ.

## ცნობები

პოდპორუჩიკი იური ლუკას ძე აროშიძე მსახურებდა შავი ზღვის „პოგრანიჩნი" ბათალიონში. 10 აპრილს მონაწილეობას ღებულობდა ს. ვაშნარტთან (ოზურგეთის ახლო) ბრძოლაში აღნიშნულ ბრძოლის შემდეგ მშობლებმა არა იციან რა მის შესახებ. ვსთხოვ ვინც კი იცის მის შესახებ შემატყობინოს შემდეგი მისამართით: სად. ნიგოითი, პორუჩიკ რაჟდენ აროშიძეს.

---

ვასილ გოგის ძე გოგოძე მსახურებდა მე-2 ქართ. მსრ. პოლ. მე 2 როტის პირველ ვზვოდში დაიკარგა აბასთუმანის მახლობლათ. ვთხოვთ ვინც რაიმე იცით მის შესახებ შეატყობინოთ ამ ადრესით: სად. სუფსა-[illegible] დასაცემათ სოფ. [illegible] გიორგი გოგოძეს.


**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა, საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**სამკურნალო კაბინეთი**

**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კედიავშილი.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილისა**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 83. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ალექსანდრის ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

# ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილი 9—1 საათ. და სალ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

---

მოითხოვეთ სამკურნალო

# ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი". (15—12)

---

# საკონსულტაციო-დიაგნოსტური კაბინეტი

ყოველგვარი ავადმყოფობისათვის

# დოქტორ გ. ვ. ბარხუდაროვისა.

აბინეტთან სდგება კონსილიუმი ექიმ სპეციალისტებისა, ავადმყოფთა წინდაწინვე მომზადებით.

მუდმივი კონსულტანტები:

| | | |
|---|---|---|
| ა. ა. არუთინოვი, | ი. ზ. გოფაძე, | მ. ე. მზარეულოვი, |
| ნ. მ. ასპიროვი, | ა. ა. ზარგარიანცი, | გ. ს. პონდოევი, |
| ნ. ნ. ვესელოვზოროვი, | გ. მ. მაკაროვი, | ა. რ. ფიშერი, |
| ტ. ი. გეორქ ბეგიანი, | კ. ლ. მარკევიჩი, | გ. მ. ჩაჩიკიანი, |
| | | ს. პ. შახ-პარონიანი. |

ავადმყოფთა სურვილის თანახმად კონსილიუმზე მოწვეულნი იქნებიან მათ მიერ დასახელებული სხვა გარეშე ექიმებიც.

ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე დილის 11—1 საათ. სალ. 5—7 საათ. აბასაბაცკის მოედანი № 5 (ერევნის მოედ. ახლო) ტელეფ. 14—66. 100-10


[illegible] სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.